საქართველოს სახალხო დამცველი

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა

2016

საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა

2016

საქართველოს
სახალხო დამცველი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს
სახალხო დამცველი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა.....5

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....6

ქალთა მონაწილეობა სოფლის განვითარების პროგრამებსა
და საკრებულოების საქმიანობაში.....9

ქალთა ეკონომიკური აქტივობა და შრომითი უფლებები.....13

მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები.....14

ქალ უფლებადამცველთა უფლებების შესახებ.....16

მედია-საშუალებების როლი გენდერული თანასწორობის
დამკვიდრებისათვის.....17

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.....18

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა
და უფლებები.....22

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა.....22

ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული გამოწვევები და
აბორტები.....23

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).....25

თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები.....27

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა
საქართველოში.....28

ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების შეფასება.....30

ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლო გავლენა
ოჯახში ძალადობასთან.....32

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების შეფასება....34

ქალთა მკვლელობები და თვითმკვლელობები (ფემიციდი)....36

ქალთა გენიტალიების დასახიჩრება....39

ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება....40

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა....45

რეკომენდაციები....52

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

შესავალი

ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა, მიმდინარე საანგარიშო წელს, არსებითად არ შეცვლილა. სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალისხმევას საჭიროებს.

პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებში ინტერსექციური მიდგომების ნაკლებობა, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქალთა პრობლემატიკის ასახვას აბრკოლებს და მათი მოწყვლადობის ხარისხს ზრდის.

2016 წელს გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო სივრცის დახვეწისკენ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. უფრო მეტიც, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კვოტირების, სექსუალური შევიწროებისა და ფემიციდის დეფინიციების შესახებ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივებს. სახალხო დამცველის შეფასებით მათი მხარდაჭერა უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა არსებული გამოწვევების ფონზე, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტს წარედგინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტი, რომელიც არაერთ მნიშვნელოვან გარანტიას შექმნის ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში. სამწუხაროდ, კანონპროექტში წარმოდგენილი არ არის სექსუალური შევიწროების დეფინიცია, რაც კონვენციით დადგენილი ვალდებულება და საქართველოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

მისასალმებელია, რომ გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, რაც პოზიტიურად აისახა შემთხვევათა გამოვლენის მაჩვენებელზე. თუმცა გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე უფრო მეტად გამოიკვეთა სისტემური ხარვეზები, რაც რეაგირების ეფექტიანობისა და პრობლემის აღმოფხვრის პროცესში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების რაოდენობა და ამასთან, გაიხსნა კრიზისული ცენტრი, ძალადობისგან დაცვის სერვისები ცალსახად საჭიროებს დახვეწას მსხვერპლთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და დასაქმების მიმართულებით, რაც მხოლოდ თავშესაფრის სერვისის ფუნქციონირებით ვერ მიიღწევა.

პრობლემად რჩება ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების შესახებ საზოგადოების დაბალი ცნობიერება და გულგრილი დამოკიდებულება, რასაც ხშირად არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფა და თანასწორუფლებიანობის დარღვევა სდევს თან. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ქალთა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკის გამოვლენა იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დაფარულ პრობლემას წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხები, სახელმწიფოს მხრიდან კოორდინირებულ, თანმიმდევრულ და საჭიროებებზე დაფუძნებულ რეაგირებას მოითხოვს.

არსებითად არ გაუმჯობესებულა ქალთა რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის და უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობა. პრობლემად რჩება გენდერის ნიშნით სქესის სელექცია, ოჯახის დაგეგმვის სერვისების სიმცირე და ცნობიერების დაბალი დონე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პროცესზე და შედეგებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ კვლავ კრიტიკულად დაბალია ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მე-9 მოწვევის პარლამენტში ქალთა მონაწილეობის 4%-იანი ზრდა სპონტანურია და არა გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკური დაგეგმვის შედეგი.

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოკრატიული სახელმწიფოს და პლურალისტული, წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა, თუმცა, ეს საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის სფეროში.

2016 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[1] მიხედვით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით 144 ქვეყანას შორის 114-ე ადგილზეა. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების[2] მიხედვით, საქართველო 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით, 193 ქვეყანას შორის 124-ე ადგილს იკავებს, 24 ქალით პარლამენტში. 2016 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[3] მიხედვით, ქალი კანონმდებლებისა და მენეჯერულ პოზიციებზე მათი წარმომადგენლობით, საქართველო 144 ქვეყანას შორის 51-ე ადგილზეა,ხოლო მინისტრის პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის კუთხით 139 ქვეყანას შო-

1 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/economies/#economy=GEO [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

2 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

3 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www3.weforum.org/docs/GGGR16/WEF_Global_Gender_Gap_Report_2016.pdf [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

რის 80-ე ადგილს იკავებს.[4] აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში 18 მინისტრიდან მხოლოდ ორი ქალია და ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში[5] მოხდა აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა რაოდენობის შეფასება და მონაცემთა გენდერული ანალიზი.

ცხრილი №1: აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, 2016



მონაცემები ცხადყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობა კაცია, ქალები მრავლად ან თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა უწყებებში. თუმცა, საგანგაშოა ის მონაცემი, რომელიც მათ რაოდენობას ასახავს ხელმძღვანელ პოზიციებსა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე.

4 იქვე.
5 საანგარიშო პერიოდი გულისხმობს 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე მონაცემს.

ცხრილი №2: აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა რაოდენობა ხელმძღვანელ პოზიციებზე, 2016



აღსანიშნავია, რომ სამინისტროებში კვლავ არ არიან გამოყოფილი უშუალოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები. გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, სამინისტროთა 44%-ში აღნიშნული საქმიანობის შესრულება შეთავსებით ხდება სხვა პოზიციაზე მყოფი პირების მიერ, ხოლო სამინისტროთა 50%-ში მსგავსი კადრი საერთოდ არ არსებობს, მხოლოდ ერთ სამინისტროს ჰყავს უშუალოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი[6].

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კულტურას მჭიდრო კავშირი აქვს ტრადიციულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან, რაც, ხშირ შემთხვევაში, გამორიცხავს ქალის როლსა და მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. ამასთან პოლიტიკაში ქალთა დაბალი მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს კანონმდებლობაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წახალისების ეფექტიანი მექანიზმების არარსებობაცაა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდა არ არის პრიორიტეტული საკითხი პოლიტიკური პარტიებისთვის, გენდერული ბალანსი, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური წახალისების პროცედურა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 25 პარტიიდან/ბლოკიდან, მხოლოდ 4-მა დააკმაყოფილა,[7] რაც შესაბამისად აისახა კიდეც საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე.

6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N04/07/893, 18/01/2017.

7 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_Statement_WomensParticipation_Georgia2016_Final_GE.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ქალთა უფლებებისა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება ძირითადად დეკლამაციურ ხასიათს ატარებდა და პარტიების პოლიტიკური პროგრამების ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, განათლების, სოციალური და კულტურული პოლიტიკის ნაწილი მთლიანად დაცლილი იყო ქალებისათვის სპეციფიური პრობლემატიკისაგან[8], ხოლო რიგი პარტიების საარჩევნო პროგრამებში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ სწრაფვა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგების მიხედვით,[9] გამოკითხულთა 74% მიიჩნევს, რომ არჩევით თანამდებობებზე ქალები და კაცები ერთნაირად, ან ქალები კაცებზე უკეთესად მუშაობენ; ხოლო გამოკითხულთა 70%-ს მიაჩნია, რომ პარლამენტის წევრთა სულ მცირე 30% ქალი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, არსებული რეალობა მკვეთრად განსხვავდება კვლევის შედეგებისგან და ქალები კვლავ აწყდებიან უამრავ დაბრკოლებას პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებმა არ გაიზიარეს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ, საქართველოს მე–4 და მე–5 პერიოდული ანგარიშების განხილვის შემდეგ მიღებული რეკომენდაცია, რომლითაც, კომიტეტმა სახელმწიფოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, დროებითი სპეციალური ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

სახალხო დამცველი კვლავ მიიჩნევს, რომ კვოტირების სისტემის შემოღება, განსაკუთრებით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, ერთ-ერთი ქმედითი გამოსავალი იქნება შექმნილი უთანასწორო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქალთა მონაწილეობა სოფლის განვითარების პროგრამებსა და საკრებულოების საქმიანობაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის[10] მიხედვით, სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალების გაძლიერება, სტრატეგიის ყველა მიმართულების მნიშვნელოვანი ღერძი უნდა იყოს. აღნიშნული მიმართულებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გაზრდილია იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი, სადაც ქალთა გაძლიერების პროგრამები ხორციელდება, თუმცა სამწუხაროა, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილი საჭიროდ

8 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.feminism-boell.org/ka/proekti-ikitxe-politika> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

9 იქვე.

10 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

არ მიიჩნევს სპეციალურად ქალთა გაძლიერებისაკენ მიმართული პროექტების განხორციელებას.[11]

ცხრილი №3: 2016 წელს განხორციელებული პროექტები, რომლებიც ეხებოდა ქალთა გაძლიერებას



აღსანიშნავია, რომ ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების უმრავლესობა მუნიციპალურ დონეზე „ქალთა ოთახების“ მოწყობასა და ქალებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე სერვისების შეთავაზებას მოიცავს. სოფლად მცხოვრები ქალების პრობლემატიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მეტად შეეწყოს ხელი ქალთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებზე ზეგავლენის მომხდენი პროექტების განხორციელებას.

კვლავ დაბალია ქალების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. 2016 წელს სოფლის კრებებსა და სხვადასხვა ტიპის შეხვედრებზე კაცთა მონაწილეობა თითქმის ორჯერ აღემატება ქალების ჩართულობას.

11 ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი N08/20, 02/02/2017; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი N19, 24/01/2017; ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი N02/639, 26/01/2017; სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი N37/473, 27/01/2017.

ცხრილი №4: სოფლის კრებებზე და მოსახლეობასთან შეხვედრებისას დასწრების რაოდენობრივი მაჩვენებელი სქესის მითითებით, 2016



ქალთა დაბალი მონაწილეობის მაჩვენებელი საჯარო სივრცეებსა და შეკრებებში გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის დაკვირვება და გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხშირია თავად კაცების მხრიდან წინააღმდეგობა მსგავსი ტიპის აქტივობებში მათი ოჯახის წევრი ქალების ჩართულობის შესახებ, ამასთან, შეხვედრის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ხშირად არ ხდება ქალების ინფორმირება მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ.

მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ თვითმმართველი ორგანოების უმეტესობაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა საკითხების შესახებ საკითხებზე მუშაობა ხდება შეთავსებით, ხოლო რიგ მუნიციპალიტეტებში საერთოდ არ ჰყავთ პასუხისმგებელი პირი. მისასალმებელია, რომ წინა წლებთან შედარებით გაზრდილია იმ გამგეობების რიცხვი, რომელთაც ჰყავთ გენდერის მრჩეველი. კერძოდ, 20 გამგეობაში ჰყავთ სპეციალურად ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირი, 11-ში შეთავსებით, ხოლო 25 გამგეობაში გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი დანიშნული არ არის. ხოლო საკრებულოს დონეზე მონაცემები ასე გამოიყურება:

ცხრილი №5: გენდერის საკითხებში პასუხისმგებელი პირი საკრებულოს დონეზე, 2016



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ დაბალია გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა ჩართულობა. აქვე, აღსანიშნავია, რომ არც ერთი თვითმმართველი ქალაქის მერი არ არის ქალი და მხოლოდ ერთი გამგებელია ქალი[12].

სტერეოტიპული დამოკიდებულებები ქალის გენდერულ როლთან დაკავშირებით ნათლად წარმოჩინდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ სხდომაზე, სადაც საკრებულოს წევრ ქალებს სხდომათა დარბაზის დატოვება მოსთხოვეს საკრებულოს წევრმა კაცებმა და მიზეზად პირადი საქმე დაასახელეს.[13] შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, რომლის საქმიანობის ეფექტურად წარმართვა მუნიციპალურ დონეზე მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ადამიანის უფლებების დაცვას უნდა ემსახურებოდეს. დაუშვებელია, მამრობითი სქესის წარმომადგენელი დეპუტატების მიერ პოლიტიკური ფორუმი აღქმული იყოს, როგორც პირადი სივრცე, სადაც შეეძლებათ ქალებს პოლიტიკური დებატების დატოვება მოსთხოვონ.

12 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://tianeti.org.ge/?m=3&sm=1> [ბოლოს ნანახია 24 მარტს]

13 2016 წლის 31 აგვისტოს სახალხო დამცველის განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების სექსისტური გამონათქვამების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-qedis-sakrebulos-wevrebis-seqsistur-gamonatqvamebs-exmianeba.page >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ქალთა ეკონომიკური აქტივობა და შრომითი უფლებები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგში[14] ცალსახად არის გაწერილი, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარება და გენდერული თანასწორობა ის ორი გამოწვევაა, რომელსაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებმა თანადროულად უნდა უპასუხონ, რადგან ქალთა და გოგონათა უფლებების სრული და ეფექტიანი განხორციელება წარმატებული ეკონომიკური განვითარების საწინდარია[15]. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს კვეთს ქართულ რეალობაშიც, სადაც, ეკონომიკურ აქტივობაში ქალების თანაბარი უფლებებით ჩართვა კვლავ გამოწვევად რჩება.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტების გათვალისწინება, რადგან ტრადიციული ეკონომიკური ინსტრუმენტები ვერ ასახავს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობას[16]. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში ქალებს არ აქვთ სრულფასოვანი წვდომა ეკონომიკურ საქმიანობასთან, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მეტი ძალისხმევა გასწიოს ქალთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, როგორც საკანონმდებლო გარანტიების, ისე ეკონომიკაში ქალთა როლის შესახებ ცნობიერების გაზრდის კუთხით.

„გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მიხედვით ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე კაცებთან შედარებით ნაკლებია,[17] ამ მონაცემის გათვალისწინებით, 2015 წელთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი გაუარესდა და საბოლოო ჯამში იგი 144 ქვეყნიდან 90-ე ადგილს იკავებს. ამავე კვლევის მიხედვით, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლით საქართველო 34-ე ადგილს იკავებს. განსხვავდება სქესთა შორის საშუალო შემოსავლის თანაფარდობაც, რომლის მიხედვითაც კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი (12,551 აშშ დოლარი) დაახლოებით ორჯერ აღემატება ქალის წლიურ საშუალო შემოსავალს (6,072 აშშ დოლარი). ამ მაჩვენებელს მრავალი სოციო-კულტურული მიზეზი აქვს, მაგრამ, მთავარი არის ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც სპეციფიკურად დასაქმებული ქალის გენდერული ჩაგვრის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, მაგალითად, სექსუალური შევიწროების აკრძალვა, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების საკითხის რეგულირება და სხვა.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. „შუშის ჭერის“ არსებობა, რაც გულისხმობს კარიერული ზრდის პროცესში არსებულ უხილავ და ხილულ ბარიერებს. ამავე ტიპის პრობლემას მიეკუთვნება დაკავებული პოზიციების გენდერული სეგრეგაციაც. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ 2016

14 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2014/unwomen_surveyreport_advance_16oct.pdf?vs=2710> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

15 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.oecd.org/dac/gender-development/Addis%20flyer%20-%20Gender%20Equality_FINAL.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

16 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.fraserinstitute.org/sites/default/files/economic-freedom-of-the-world-2016.pdf > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

17 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/economies/#economy=GEO> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

წლის მაჩვენებლით, კანონმდებელთა, მაღალი რანგის თანამდებობის პირთა და მმართველთა 66% კაცია, მაშინ, როდესაც, ამავე მონაცემების მიხედვით ქალთა უმეტესობა (62%) ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს.

არათანაბარი ეკონომიკური მონაწილეობა ასევე ზრუნვის არათანაბარი გადანაწილების შედეგიცაა. ხშირ შემთხვევაში, ქალები ანაზღაურებად შრომასთან ერთად აუნაზღაურებელი სამუშაოს შესრულებას ითავსებენ, ისეთი, როგორიცაა, სახლის სამუშაოები, ბავშვის მოვლა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია მოუწოდებს ქვეყნებს გაზომონ ქალთა აუნაზღაურებელი შრომა და მიანიჭონ მას მონეტარული მნიშვნელობა, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქალთა გაძლიერებისა და ქვეყნის ეკონომიკაში მათი კონტრიბუციის გაზომვისთვის[18]. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“[19] მონაცემების მიხედვით, შინამეურნეობაში დასაქმებულთა ორნახევარჯერ მეტი ქალია (კოეფიციენტი: 2.48). 2014 წლის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების შესახებ კვლევის თანახმად, სოფლად მცხოვრებ ქალთა 93.8% უპირატესად, სახლის საქმითა და ბავშვების მოვლით არის დაკავებული.

სახალხო დამცველი მიესალმება სახელმწიფოში უფასო ბაგა-ბაღების სერვისის არსებობას, თუმცა, კვლავ პრობლემატურია ჩვილ ბავშვთა დედებზე მორგებული ინფრასტრუქტურის არსებობა, რაც ქალებს, მნიშვნელოვანწილად, უზღუდავს საჯარო სფეროში მონაწილეობას.

ქალთა თანაბარი ეკონომიკური მონაწილეობისათვის აუცილებელია დარეგულირდეს მშობლის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების საკითხი. არაერთი დაპირების მიუხედავად, კვლავ არ შეცვლილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვითაც ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისას სახელმწიფო კომპენსაცია მხოლოდ ქალის მიმართ გაიცემა.

მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები

კვლავ პრობლემას წარმოადგენს მარტოხელა მშობლების და მრავალშვილიანი ოჯახების უფლებრივი მდგომარეობის საკითხი; სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, მარტოხელა დედების მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები, მათ ორმაგ მოწყვლადობას იწვევს. ამასთან, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიმართულებით.

18 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.oecd.org/dev/development-gender/Unpaid_care_work.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

19 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/economies/#economy=GEO >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი წელი გავიდა მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრიდან, შესაბამისი სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით შედეგი არ მიღწეულა. სახალხო დამცველი არაერთხელ გამოეხმაურა სტატუსის მინიჭების და გაუქმების წესის ცვლილების საჭიროებას, რადგან ამჟამინდელი რედაქცია, სახელწოდების მიუხედავად, გამორიცხავს მარტოხელა მამის სამართლებრივი არსებობის შესაძლებლობას. ამასთან, მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ბავშვის დაბადების მოწმობაში არ არის ჩანაწერი დედის/მამის შესახებ, აქედან გამომდინარე, ყველა დანარჩენ შემთხვევაში, მშობელი მოკლებულია შესაძლებლობას, ბავშვზე მარტო ზრუნვის შემთხვევაში, მიიღოს მარტოხელა მშობლის სტატუსი.[20]

პრობლემურია მარტოხელა მშობლის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებში რეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლის არსებობა, რადგან კანონით დაურეგულირებელი რჩება თუ როგორ შეიძლება მოხდეს სტატუსის ხელახლა მიღება ან ზრუნვის ტვირთის განაწილება (მაგალითად, ალიმენტის დაკისრება) მშობლის განქორწინების შემდეგ. ამასთან, მარტოხელა მშობელს, ქორწინების შემთხვევაშიც კი, უწევს მარტო გაუმკლავდეს ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც ზრუნვის ვალდებულებიდან პირდაპირ გამომდინარეობს. მისასალმებელია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გაიზიარა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული პრობლემის გადაჭრის იდეა და მიიღო სამუშაო ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება, რომელიც იმსჯელებს საკითხის ირგვლივ არსებულ სამართლებრივ პრობლემებზე.[21]

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წლიდან 2017 წლის 14 მარტის მდგომარეობით, 1417 პირს სრულად დაუკმაყოფილდა განცხადება მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების შესახებ, ხოლო 24 პირს ნაწილობრივ.[22] მარტოხელა მშობელთაგან 14 პირს შეუწყდა სტატუსი შემდგომ დაქორწინების საფუძვლით. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ყველა მარტოხელა მშობელი ქალია. მარტოხელა მამას მარტოხელა მშობლის სტატუსი ჯერ არ მიუღია.

იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს 11955 ქალი გახდა 3 ან მეტი შვილის დედა[23]. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობით მთლიანად დაურეგულირებელია მრავალშვილიანი დედების საკითხიც, რადგან სტატუსის მინიჭების განსაზღვრული წესი არ არსებობს. შესაბამისად, სახელმწიფო ვერ აწარმოებს მრავალშვილიანი დედების სტატისტიკას და ვერ ეხმარება მათ შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური სერვისების მიწოდებით.

---

20 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2875417> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

21 საქართველოს პარლამენტის ბიუროს წერილი #2031/4-10, 17/02/2017.

22 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს წერილის (N01/69380, 15/03/2017) თანახმად მარტოხელა მშობლის სტატუსის მოთხოვნის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილება გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც პირი მოითხოვს სტატუსის დადგენას რამდენიმე შვილის მიმართ, ხოლო უფლებამოსილი სამსახურის გადაწყვეტილებით სტატუსი დგინდება ერთის/რამდენიმეს და არა ყველა მოთხოვნილი შვილის მიმართ.

23 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი N08-3/1782, 07/02/2017.

გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას 4379 მარტოხელა დედაა დაფიქსირებული.[24] მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა და სოციალურად დაუცველ ოჯახებში (შინამეურნეობებში)[25] მარტოხელა დედათა რაოდენობის შედარებაც კი ნათლად წარმოაჩენს, რომ მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების წინაპირობები რეალურად მარტოხელა მშობელთა რაოდენობას არ ასახავს. სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების წესის დახვეწა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, რისი ანალიზიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ბავშვთა და მშობელთა დახმარების კუთხით გენდერულად მგრძნობიარე პროგრამა დაგეგმოს.

ქალ უფლებადამცველთა უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებადამცველთა დეკლარაცია აღიარებს უფლებადამცველების განსაკუთრებულ როლს.[26] ქალი უფლებადამცველები განსაზღვრულნი არიან სპეციალურ ჯგუფად,[27] ხოლო გაეროს სპეციალური მომხსენებელი, საკუთარ ანგარიშში მიესალმება ქალ უფლებადამცველთა გააქტიურებასა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, თუმცა, პარალელურად, შეშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ უფლებადამცველები ხშირად ხდებიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ძალადობის მსხვერპლნი.[28]

ქალი უფლებადამცველების მიმართ განხორციელებული შევიწროების და მუქარის ფაქტები არც საქართველოს რეალობისთვისაა უცხო. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი გასულ წელს სწავლობდა რამდენიმე შემთხვევას, სადაც ქალ უფლებადამცველთა მიმართ, მათი საქმიანობის გამო, მუქარის ფაქტები გამოვლინდა. შესწავლილ საქმეებში, გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს გაუჭირდათ ქალ უფლებადამცველებზე განხორციელებული მუქარის ფაქტების და რისკების სწორად შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებდა ქალ უფლებადამცველთა შესახებ რეზოლუ-

24 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/4055, 24/01/2017.

25 მარტოხელა მამების რაოდენობა სოციალურად დაუცველ ოჯახებში უცნობია, რადგან მსგავს ჩანაწერს მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი არ ითვალისწინებს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667586 >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 26 მარტს].

26 *ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:* <http://www.ohchr.org/EN/Issues/SRHRDefenders/Pages/Declaration.aspx > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

27 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/16/44 >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

28 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:<https://phrgeorgia.wordpress.com/2017/03/06/phr-32/ >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ციით[29] გათვალისწინებული საკითხების ასახვაზე პოლიტიკის დოკუმენტებში და ასევე სამართალდამცავი უწყების მხრიდან შესაბამისი მიდგომების დამკვიდრების აუცილებლობაზე, მაინც დღემდე აქტუალურია აღნიშნული საკითხების განხორციელება.

მედია-საშუალებების როლი გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის

გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესში მედიასაშუალებებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ. შესაბამისად, აუცილებელია მათ მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ, რათა მოხდეს პირველ რიგში ჟურნალისტების, ხოლო შემდგომ საზოგადოების სწორად ინფორმირება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დიდ ყურადღებას უთმობს ჟურნალისტთა გადამზადებას და აცნობიერებს მათ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად, 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში, გენდერული თანასწორობისა და ქალთა საკითხების მიმართულებით 3 ტრენინგი გამართა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა ცენტრალური და რეგიონული მედიის 50 ჟურნალისტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.[30] ამასთან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის[31] მე-15 თავის მე-7 პუნქტი, მრავალფეროვნების ასახვის შესახებ გარკვევით ამბობს, რომ ქალებზე მსჯელობისას არ უნდა მოხდეს სექსისტური გამოთქმების გამოყენება, სექსისტური შეფასებებისა თუ შედარებების გაკეთება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან არაერთი განცხადება გაკეთდა მედიაში გაჟღერებულ სექსისტურ გადაცემებსა და სარეკლამო რგოლებზე[32], მათ შორის საზოგადოებრივ მაუწყებლის გადაცემა „კაცების დროს" პრომოს შესახებ, რომელიც ატარებდა სექსისტური და დისკრიმინაციული შინაარსის მესიჯებს. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ რეკლამა გენდერულად მჩაგვრელ პრაქტიკას ამკვიდრებს და ხელს უწყობს

29 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/68/181 >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 25 მარტს].

30 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866 >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

31 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://gpb.ge/files/documents/2006/04/b80766114bede8515fda6dab805e19e5.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

32 2016 წლის 14 ნოემბრის საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ტელეკომპანია „ტაბულას" სექსისტური ვიდეო-რგოლის თაობაზე.

უარყოფითი გენდერული სტერეოტიპების გამყარებას ქალების პროფესიული შესაძლებლობების და მათი განვითარების შესახებ.

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში აგრეთვე ასახულია მედიის როლი და მნიშვნელობა. კერძოდ, სპეციალური მომხსენებლის მოსაზრებით, მედიაში გავრცელებულმა სექსისტურმა განცხადებებმა და გენდერულმა სტერეოტიპებმა ქალისა და მამაკაცის გენდერულ როლებთან დაკავშირებით, შესაძლოა ზიანი მიაყენოს ქალთა შესაძლებლობებს, მათ სოციალურ მდგომარეობას, პროფესიულ კარიერას და თანასწორი უფლებებით მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.[33]

ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით,[34] მედია საშუალებებმა ხელი უნდა შეუწყონ თვითრეგულირების მექანიზმების, შიდა ქცევის/ეთიკის კოდექსებისა და შიდა მონიტორინგის, ასევე ისეთი სტანდარტების შემუშავებას, რაც მედია გაშუქებაში გენდერულ თანასწორობას შეუწყობს ხელს, თანმიმდევრული შიდა პოლიტიკისა და სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ხელმისაწვდომობა მედიაზე და თანაბარი წარმომადგენლობითობა მედიაში, მათ შორის ისეთ სფეროებში, სადაც ქალები წარმოდგენილები არ არიან.[35]

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული დღის წესრიგის განხორციელებას „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს რეალობაში. გამოწვევად რჩება, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობა[36], ამასთან, ზოგადად, დაბალია ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხშირია უფლებადარღვევის ისეთი სახეები, როგორიცაა - ოჯახში ძალადობა, არსებულ სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განსახორციელებელი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი მიმართულებები არსებულ გამოცდილებასა და გამოკვეთილ პრობლემებს დაეყრდნო. სამოქმედო

33 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

34 მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2013 წლის 10 ივლისს მიღებული რეკომენდაცია მინისტრის მოადგილეების 1176-ე შეხვედრაზე; (CM/Reco, 2013).

35 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/9/file/GENDER-MEDIATORI.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

36 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/qalta-da-bavshvta-uflebebi-konfliqtebit-dazaralebul-regionebshi-2014-2016-wlebis-mimoxilva.page > [ბოლოს ნანახია 25 მარტს].

გეგმამ 5 ძირითადი მიმართულება დაფარა: მონაწილეობა, პრევენცია, დაცვა, განხორციელება და მონიტორინგი.

მონაწილეობის მიმართულება უსაფრთხოების და მშვიდობის მშენებლობაში ქალთა მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობას მოიცავს. აღნიშნული მიმართულებით აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას დასაქმების, სწავლებისა და სამშვიდობო მისიების განხორცილების პროცესებში. თვალსაჩინოა, ქალთა მონაწილეობის მიმართულებით არსებული პროგრესიც, თუმცა უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო ცნობიერების ამაღლებისა და არსებული სტერეოტიპების დაძლევის მიმართულებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ, რომლის პასუხადაც გვეცნობა[37], რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულთა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეთა რიცხოვნობას მინიჭებული აქვს საიდუმლოობის გრიფი „შეზღუდული სარგებლობისთვის". შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას გავანალიზოთ სამშვიდობო პროცესებში ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე. გარდა შეიარაღებული ძალებისა და სამშვიდობო მისიებისა, ქალთა მონაწილეობა თავდაცვის სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებში ასე გამოიყურება[38]:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულია 455 მოხელე, მათ შორის 224 ქალი (49.2 %);
- ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 99 მოხელე, მათ შორის 35 ქალი (35.3%);
- ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დასაქმებულთა 46% არის ქალი;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა 35% არის ქალი;
- იუნკერთა ბატალიონის 4% არის ქალი.

პრევენციის მიმართულება მოიცავს სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების შემცირებას, ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას უსაფრთხოებისა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში. სახალხო დამცველის აპარატის შესწავლა ცხადყოფს, რომ პასუხისმგებელმა უწყებებმა განახორციელეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები[39] კონფლიქტის შედეგად დაზარა-

37 თავდაცვის სამინისტროს წერილი N MOD 5 17 00082922, 27/01/2017.

38 თავდაცვის სამინისტროს წერილები N08-3/1491, 02/02/2017 და N08-3/587, 12/01/2017.

39 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, 2016 წელს გაიმართა 8 შეხვედრა (ბათუმში 2, ნიქოზში 2, ზუგდიდში 1, განმუხურში 1, ხურჩაში 1, მერეთში 1); საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სამინისტრომ გამართა შეხვედრები გორში, ზუგდიდსა და ქუთაისში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობასთან.

ლებულ მოსახლეობასთან, ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, თუმცა პრობლემის მასშტაბების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულების გაძლიერება. ამასთან, კვლავ პრობლემად რჩება სამოქალაქო თავდაცვის საკითხების ინტეგრირება ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გვეცნობა[40], ამჟამად მიმდინარეობს საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია, ხოლო რეზოლუციის ძირითადი პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში ჯერაც შემუშავების პროცესშია.

დაცვის მიმართულება მოიცავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე და მათი ფსიქო-სოციალური სერვისებით უზრუნველყოფას. აგრეთვე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას და მათთვის დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იურიდიული დახმარების სამსახურის[41] მიერ, 2016 წელს კონსულტაცია გაეწია 1049 დევნილს, მათ შორის 579 ქალს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში იურიდიული კონსულტაცია გაეწია 3549 პირს, მათ შორის 2246 ქალს (63%). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილით გვეცნობა[42], რომ 2016 წელს, საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაიწყო 11,374-მა სტუდენტმა, საიდანაც დევნილის სტატუსის მქონეა 849 სტუდენტი, მათ შორის 383 ქალი და 466 კაცია.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონებისა და ქალებისთვის. სამინისტროს ინფორმაციით,[43] იგეგმება ფსიქო–სოციალური სერვისების განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის ჩატარება. შედეგებიდან გამომდინარე კი მოხდება იძულებით გადაადგილებულთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთათვის ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის სერვისებზე კონცეფციის შემუშავება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვალდებულება წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეუსრულებელი დარჩა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს ევალება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი რეაბილიტაციისა და მხარდაჭერისთვის, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი, სახელმწიფო მომსახურებების შესახებ კონცეფციის შემუშავება. აღნიშნული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება ტრეფიკინგის მსხვერპლთა სახელმწიფო ფონდია[44], რომელმაც მოამზადა სახელმძღვანელო, რომელიც დეტალურად გა-

40 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N MES 417 00165867, 22/02/2017.
41 იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი N LA 017 00003369, 22/02/2017.
42 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N MES 4 17 00165267, 22/02/2017.
43 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/11677; 27/02/2017.
44 მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N5860, 23/02/2017.

ნიხილავს სექსუალური ძალადობის საკითხებს, მის მასშტაბებს, შედეგებს, მსხვერპლთა დახმარებისათვის აუცილებელ სერვისებსა და არსებულ გამოწვევებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კუთხით.

ეროვნული სამოქმედო გეგმა გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ 2016 წელს დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა,[45] რომლის მიზანია სამინისტროს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა.

ცხრილი №6: დევნილთა სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები გენდერულ ჭრილში, 2016



ცხრილში ნათლად ჩანს, რომ ქალების ჩართულობა ჭარბობს საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობებში. რაც შეეხება პროფესიულ დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობასა და თანამონაწილეობით გრანტებს, ამ მიმართულებით ქალებისა და კაცების ჩართულობა თითქმის თანაბარია. შედარებით ნაკლებია ქალთა მონაწილეობა სასოფლო კოოპერატივებსა და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა 2016 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სადაც 57 პროექტიდან მხოლოდ 9 მოიცავდა ქალთა საჭიროებებთან დაკავშირებულ საკითხებს.[46]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სამოქმედო გეგმის პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. მათ შორის, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შიდა ინსტიტუციურ დოკუმენტებში ასახვას. აქვე, აუცილებელია სპეციფიკური ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, რადგან წარსული გამოცდილებით, სამოქმედო გეგმის შესრულების პრაქტიკა საქმიანობების არასპეციფიკურ, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიხატებოდა.

45 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი #04/07/3588; 13/02/2017.
46 მთავრობის ადმინისტრაციის წერილი #5860; 23/02/2017.

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა და უფლებები

საქართველოში რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევები კვლავ აქტუალურია. ინფორმაციასა და განათლებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა, ფინანსური, გეოგრაფიული და კულტურული ბარიერები დაბრკოლებას ქმნის უფლების ეფექტიანი რეალიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ანგარიში წარადგინა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის 31-ე სესიის ფარგლებში, სადაც აღნიშნულია, რომ მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა.[47] ანგარიშის წარდგენა მოხდა აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ[48], სადაც დიდი ყურადღება დაეთმო სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის საკითხებს. ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების ინტეგრირება სამოქმედო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში.

უპირველესად, მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში, რათა მათ ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების, ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხის სწავლება არ არის ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი და არაფორმალური განათლების აქტივობებიც ზოგადი განათლების საფეხურზე ნაკლებად ხორციელდება.

საგანმანათლებლო პროცესებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირებაზე საუბრობს აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, დუბრავკა სიმონოვიჩი, რომელიც თავის ანგარიშში საქართველოს შესახებ აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ასაკის შესაბამისი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლების ჩართვა სასწავლო პროგრამაში განათლების ყველა დონეზე.[49]

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა

ადამიანის უფლებების დაცვის დეკლარაციის საფუძველზე, ქალთა და ბავშვთა უპირველესი უფლებაა - ჰქონდეთ უნივერსალური ხელმისაწვდომობა მაღა-

47 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/169/51/PDF/G1516951.pdf?OpenElement > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

48 არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციაში ერთიანდება: თანადგომა, ჰერა XXI, იდენტობა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

49 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ლი ხარისხის სამედიცინო სერვისებთან, მიუხედავად მათი რასისა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა, კულტურული და რელიგიური კუთვნილებისა.[50] დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, ინფექციური დაავადებების მართვასთან ერთად, გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამის მიზნებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად მსოფლიოში 5 წლამდე ასაკის 6 მილიონი ბავშვი იღუპება. ასობით ქალი კი ყოველდღიურად ორსულობისას ან მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებებისგან კვდება. სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში, მშობიარობის მხოლოდ 56% ტარდება პროფესიონალი ექიმის მიერ.[51]

ყოველწლიურად, დაახლოებით 16 მილიონი გოგონა მშობიარობს 15-19 წლამდე ასაკში, ხოლო 1 მილიონი - 15 წლამდე.[52] ჯანმრთელობის გაზომვისა და შეფასების ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, დედათა სიკვდილიანობის უმეტესობა ფიქსირდება მშობიარობისას ან პოსტ-მშობიარობის პერიოდში.[53] არსებულ ვითარებაში, უმნიშვნელოვანესია მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისით სარგებლობის საკითხისთვის პრიორიტეტის მინიჭება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დოკუმენტში „დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში“ აღნიშნულია, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დედათა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია ქვეყანაში.[54]

ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული გამოწვევები და აბორტები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდების გამოყენება მცირედით გაზრდილია, კერძოდ, 1990 წელს მისი გამოყენების მაჩვენებელი იყო 54%, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი 57.4%-ს შეადგენს.[55]

ცხადია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია მოსახლეობის ცნობიერება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სქესობრივი უფლებების შესახებ, უფრო მატუ-

50 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0012/98796/E90771.pdf> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

51 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.undp.org/content/undp/en/home/sustainable-development-goals/goal-3-good-health-and-well-being.html >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

52 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs364/en/> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

53 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.healthdata.org/maternal-health> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

54 დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში.

55 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs351/en/> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ლობს დაუგეგმავი ორსულობის მაჩვენებელი. დღესდღეობით, საქართველოში ქალებს არ მიუწვდებათ ხელი ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე, რასაც ემატება სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის[56] მიუხედავად, ქვეყანაში ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებზე, ხელმისაწვდომი კონტრაცეფციის გავრცელების შესახებ ბოლოს, 2010 წელს ჩატარდა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემები არ განახლებულა და ამ მიმართულებით თანამედროვე კვლევა არ ჩატარებულა, რთულია შევაფასოთ დღეს არსებული ვითარება. კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 53%-მდე იყენებს კონტრაცეპტივების თანამედროვე მეთოდებს, მათგან 1/3 ტრადიციულ მეთოდებს, რომელთაც არაეფექტურობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ და ხშირად აბორტით მთავრდება. თანამედროვე კონტრაცეპტიული მეთოდების ცოდნა არათანაბარია და ხშირად მცდარია, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული მეთოდის გამოყენება.[57]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 22 მილიონი აბორტი აღირიცხება და მათი უმეტესობა დაბალი შემოსავლის მქონე და განვითარებად ქვეყნებში ფიქსირდება.[58]

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში 2016 წელს 26,838 აბორტი გაკეთდა.[59] აბორტების რიცხვი წინა წლებთან შედარებით კლების დინამიკით ხასიათდება, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

ცხრილი №7: რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა დინამიკაში



56 დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

57 ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010.

58 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs388/en/ > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

59 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/3869; 24/01/2017.

მნიშვნელოვანია ინფორმაცია ასაკობრივ ჭრილში ჩატარებული აბორტების შესახებ. 2015 წლის მსგავსად, ყველაზე მეტი აბორტი 25-29 წლამდე ასაკის ქალებში ფიქსირდება (7,801). წინა წელთან შედარებით გაზრდილია 15 წლამდე მოზარდებში აბორტების რაოდენობა.

ცხრილი №8: აბორტების რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში, 2016



საქართველოში კვლავ მაღალია გენდერული ნიშნით სქესის სელექციის მაჩვენებელი, რაც განაპირობებს გენდერულ უთანასწორობას და აღნიშნული დისკრიმინაციული პრაქტიკის შედეგად ყოველწლიურად უფრო ნაკლები გოგონა იბადება. 2016 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მონაცემების მიხედვით, საქართველო, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით, 144 ქვეყნიდან 137-ე ადგილზეა და ამ მხრივ მდგომარეობა 2015 წელთან შედარებით არ შეცვლილა.[60]გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებელი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, მიიღოს ზომები სელექციური აბორტების პრევენციისთვის და უზრუნველყოს დაბადების რეგისტრაციის მონაცემების რეგულარული გამოცემა სქესისა და რეგიონების მიხედვით, რათა დადგინდეს ამგვარი აბორტების მიზეზები და გაიზარდოს მოსახლეობის ცნობიერება ამ პრაქტიკის შესაძლო უარყოფითი გრძელვადიანი შედეგების შესახებ.[61]

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. შრომითი თუ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლები ხშირად ხდებიან

60 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/economies/#economy=GEO > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

61 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:< http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ქალები და ბავშვები. ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა 95%-ს ქალები შეადგენენ.[62] ტრეფიკინგის ჩამდენი პირები ძირითადად იყენებენ მსხვერპლთა მოწყვლადობას, რაც, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: სიღარიბე, დისკრიმინაცია, გენდერული უთანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობა, განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ა.შ.

მისასალმებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც უშუალოდ იძიებს ტრეფიკინგის შემთხვევებს. თუმცა, პრობლემურია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში შესაძლო ტრეფიკინგის შემთხვევის პირველადი იდენტიფიცირება.

2016 წლის განმავლობაში ტრეფიკინგის სავარაუდო 20 ფაქტზე განხორციელდა გამოძიება, მათ შორის, 15 სექსუალური ექსპლუატაციის, 4 იძულებითი შრომის, 1 შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტზე. 2016 წელს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 2 ქალს, ხოლო მსხვერპლის სტატუსი 1 პირს, მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ექსპლუატაციის საფუძველზე. 2016 წლის განმავლობაში სერვისებში ჩართულ პირთა მაჩვენებელი შემდეგია:

ცხრილი N1: მონაცემები ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების შესახებ	პირი
მუდმივმოქმედი ჯგუფის სტატუსის საფუძველზე თავშესაფრით სარგებლობა	1
დაზარალებულად ცნობის საფუძველზე თავშესაფრით სარგებლობა	3
ცხელი ხაზის კონსულტაციით მოსარგებლე პირთა რაოდენობა	123
პირთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს კომპენსაცია	2

მ.პ.– საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტისთვის ცნობილი გახდა, რომ სავარაუდო ტრეფიკინგის მსხვერპლი, მ.პ. ცხოვრობდა ოჯახში, რომელთანაც ნათესაური კავშირი არ ჰქონდა. მოწოდებული ინფორმაციით, ოჯახი, სავარაუდოდ, იყენებდა მის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და შრომით ექსპლუატაციას უწევდა. ამასთან, სავარაუდოდ, მას სქესობრივი კავშირი ჰქონდა ოჯახში მცხოვრებ მამაკაცებთან.

სამწუხაროდ, თავდაპირველად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ზედაპირულად შეისწავლეს არსებული მდგომარეობა და არ განუხორციელებიათ ღონისძიე-

62 ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს ანგარიში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ პროგრესის შესახებ, 2016 წელი.

ბები სავარაუდო უფლებადარღვევის გამოსავლენად. სახელმწიფო უწყებების ყურადღების მიღმა დარჩა ინფორმაცია, რომელიც სავარაუდო ძალადობის და ექსპლუატაციის ფაქტებზე მიანიშნებდა. ხსენებულ საქმეზე გამოძიების დაწყება მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე გახდა შესაძლებელი და ამ დრომდე მიმდინარეობს.

თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფარი) მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგისას თავშესაფარში არცერთი ტრეფიკინგის მსხვერპლი არ იმყოფებოდა, შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და ფიზიკური გარემოს ვიზუალურ დათვალიერებას დაეყრდნო.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ თავშესაფრებში არსებული მდგომარეობა კეთილსაიმედოა. თუმცა, გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხებისა, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სერვისის მიწოდების ხარისხს. უნდა აღინიშნოს, რომ გადამდები ინფექციური დაავადების მქონე ბენეფიციარების მიღების საკითხი მოგვარებულია თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში), თუმცა ბათუმის თავშესაფარში ამგვარი შესაძლებლობა არ არსებობს.

მონიტორინგისას, პრობლემა გამოვლინდა ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების კუთხითაც. მოპოვებული ინფორმაციით თავშესაფარში ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება ხდება თავშესაფარში მიღებისას, ბენეფიციართან გასაუბრების საფუძველზე და დაავადების შესახებ ჩივილების დროს. გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლოა პირმა არ იცოდეს, რომ გადამდები დაავადების მატარებელია, სხვა ბენეფიციარების ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანია თავშესაფარში მიღებისას ბენეფიციარებს აუცილებელი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდეთ. აღნიშნული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა თბილისის თავშესაფარი, როდესაც თავშესაფარში განთავსებიდან 7 თვის შემდეგ დადგინდა, რომ ერთ-ერთ ბენეფიციარს ჰქონდა ტუბერკულიოზი, ღია, გადამდები ფორმით.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ კვლავ დგას თავშესაფრების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მოუწყობელია თავშესაფრის ეზოები. ამასთან, ბათუმის თავშესაფარი ადგილმდებარეობის გამო ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტს. ასევე, ბენეფიციარებისთვის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები დახვეწას საჭიროებს, რაც მსხვერპლებს მისცემს შესაძლებლობას მეტად ინტეგრირდნენ საზოგადოებაში.

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა კვლავ მძიმე პრობლემად რჩება. შემთხვევათა გამოვლენის მაჩვენებლის ზრდის ფონზე კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ძალისხმევას მსხვერპლისთვის ეფექტური სერვისის მიწოდების და განმეორებითი ძალადობისგან დაცვის კუთხით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები იყოს დროში გაწერილი და თანმიმდევრული, ხელშესახები ცვლილებების მისაღწევად.[63]

სამწუხაროდ, საქართველო კვლავ რჩება სოციალურ სივრცედ, სადაც საზოგადოებაში ჭარბად არის გამჯდარი გენდერული სტერეოტიპები, აღნიშნული კი ხელს უწყობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მასშტაბების ზრდას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული საქმეთა შესწავლის და ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება დაბალი შემოსავლის მქონე ან შემოსავლის არმქონე ქალებზე, არასრულწლოვნებზე, ეთნიკურად არაქართველ ქალებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ სამართალდამცავ უწყებებს და სოციალურ სამსახურს განსაკუთრებით უჭირთ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ძალადობის გამოვლენა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ დგას ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შესწავლის პროცესში სოციალური მუშაკების ეფექტურად ჩართვის პრობლემა. სოციალური მუშაკების მცირე რაოდენობისა და გადატვირთული სამუშაოს პირობებში რთული წარმოსადგენია ოჯახში ძალადობის საქმეებზე სათანადო რეაგირების განხორციელება და ეფექტური სოციალური მომსახურების გაწევა.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი მოწოდების მიუხედავად კვლავ არ ხდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოება და ანალიზი, რაც სახელმწიფოს საჭიროებებსა და გამოწვევებზე დაფუძნებული რეაგირების შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, მნიშვნელოვანად შეუწყობდა ხელს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ღონისძიებების გატარებაში.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლისგან განსხვავებით, ანგარიშის მომზადებისას, სახალხო დამცველის აპარატს გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია მყისიერად არ მოეწოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენციაში მითითებული იყო, რომ შესაბამის სამსახურებს დაევალათ მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი, რაც დროს მოითხოვდა. აღნიშნული ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სტატისტიკა არ არის სამუშაო პროცესის ნაწილი და აქტივობების წარმართვისას ტენდენციებს ყურადღება არ ექცევა.

63 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.un.org/ruleoflaw/blog/document/not-a-minute-more-ending-violence-against-women/ > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

ცხრილი №9: ოჯახში ძალადობის შემთხვევები



ტენდენციად რჩება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევის შეტყობინების შემდეგ მსხვერპლის უარი საქმისწარმოების გაგრძელებაზე. სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვიანობის მიხედვით, მიზეზები უკავშირდება სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობის არქონას, ძალადობის გაძლიერების შიშს, დაურწმუნებლობას არსებული მექანიზმების ეფექტიანობაში, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სამომავლო პერსპექტივების არქონას, საცხოვრებელთან დაკავშირებულ პრობლემებს. შედეგად, აღნიშნული ტენდენცია იწვევს გამოუვლენელი და აღურიცხავი ძალადობის საქმეების არსებობას, რომელიც სახელმწიფოს რეაგირების მიღმა რჩება.

ამ პრობლემის დასაძლევად ქვეყნები სხვადასხვა ზომებს მიმართავენ, მაგალითად, გერმანიაში[64] სამართალდამცავ ორგანოსთან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ექსპერტულად აღწერს და დოკუმენტირებას უკეთებს ძალადობის ფაქტს. მსხვერპლი, მას შემდეგ რაც სათანადოდ გაძლიერდება, მტკიცებულებას, ან მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც წარსულში მომხდარ ძალადობის ფაქტს ეხება, წარადგენს შესაბამისი ორგანოს წინაშე. ამგვარი პრაქტიკის შედეგად შეიძლება თავიდან ავიცილოთ ძალადობის შემთხვევები, რომლებიც სამართალდამცავი უწყებების ყურადღების მიღმა რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველისადმი მომართვისას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხშირად მიუთითებენ პოლიციელთა მხრიდან სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე. მათი ინფორმაციით, პოლიციის წარმომადგენლები, რიგ

64 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.bmfsfj.de/blob/93938/7da570051cb2af-391592774ca0dedcbe/gemeinsam-gegen-haeusliche-gewalt-englisch-wibig-data.pdf > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

შემთხვევებში, გამოხატულ სოლიდარობას მოძალადის მიმართ ამჟღავნებდნენ და მსხვერპლებს თავს უხერხულად აგრძნობინებდნენ ოჯახის წევრის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის გამო. ზოგიერთ მსხვერპლს პოლიციის განყოფილებაში განმეორებითი მიმართვის სურვილი დაკარგული ჰქონდა და თავის დასაცავად ალტერნატიული საშუალებების მოძებნას ცდილობდა. აღნიშნული მიუთითებს, სამართალდამცავთა ცნობიერების ამაღლების და რეაგირების განხორციელებისას გენდერულად მგრძნობიარე მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავებისთვის გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებული ძალადობის გამოვლენა. განსაკუთრებით ის შემთხვევები, რომლებიც ფსიქიკურ ჯანმრთელობას ეხება. აღნიშნული პრობლემა გამოვლინდა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეში, სადაც ძალადობის დასადგენად, პოლიციისთვის საკმარისი აღმოჩნდა მოძალადესთან გასაუბრება, რომელმაც მსხვერპლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე მიუთითა და ძალადობა უარყო. მოძალადის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი წინადადების შემდგომ დადგა, რომლის მიხედვითაც მთავარ პროკურატურას ეთხოვა გამოძიების დაწყება.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის მუშაობა დადებითად აისახება ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების და მსხვერპლთათვის არსებული სერვისების ხელმისაწვდომობაზე. რიგ შემთხვევებში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები სხვადასხვა მიზეზების გამო თავს იკავებენ სამართალდამცავ უწყებებში მიმართვისგან, მაშინ, როდესაც, მათთვის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანია თავშესაფრის, სამართლებრივი დახმარების, იურდიული თუ სამედიცინო სერვისით სარგებლობის შესაძლებლობისთვის.

2016 წელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა სულ 38 პირის საქმე შეისწავლა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭა 32 პირს, 5 განმცხადებელს უარი ეთქვა, ხოლო 1 საქმე განუხილველად იქნა დატოვებული, რადგან არ შეესაბამებოდა ჯგუფის მიერ საქმის განხილვისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს.

ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების შეფასება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2016 წელს გამოცემული შემაკავებელი ორდერების ანალიზის თანახმად, ძალადობის ფაქტი გამოვლინდა 3012 ოჯახში, აქედან შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა 2877-ჯერ, სადაც მონაწილეობდა 5667 ადამიანი. მოძალადისა და მსხვერპლის შესახებ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოძალადეთა 92% კაცია, ხოლო მსხვერპლთა 87% ქალი.

მსხვერპლთა ასაკობრივი გადანაწილების მიხედვით ყველაზე დიდ რისკ ჯგუფს (57%) კვლავ წარმოადგენენ 25-44 წლამდე ასაკის ქალები და 45 წელზე მეტი ასაკის კაცები (59%). გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის მიხედვით, მსხვერპლთა ასაკობრივი რაოდენობა 24 წლამდე კვლავ დაბალია.

ცხრილი №10: მსხვერპლთა ასაკობრივი გადანაწილება შემაკავებელი ორდერების მიხედვით, 2016



კვლავ პრობლემას წარმოადგენს რეგიონებიდან დაბალი მომართვიანობა ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. მიმართვიანობის განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი კვლავ რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებშია. ვინაიდან აღნიშნულ რეგიონებში, ზედიზედ, რამდენიმე წლის განმავლობაში, განსაკუთრებით დაბალი მიმართვიანობა ფიქსირდება, აუცილებელია ამ მონაცემის მიზეზების შესწავლა და ცნობიერების ასამაღლებლად სპეციალური ზომების დანერგვა.

ცხრილი №11: გამოცემული შემაკავებელი ორდერების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულზე რეაგირებას, საქართველოს პროკურატურის ცნობით, 2016 წელს სსკ 11[1] - 126[1] მუხლებით დევნა 1356 პირის მიმართ დაიწყო. მისასალმებელია, რომ გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მაჩვენებელი,[65] რაც გულისხმობს იმას, რომ ოჯახში ძალადობა, ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ინაცვლებს პირადი სფეროდან საჯარო სივრცეში.

ოჯახში ძალადობის და ქალზე ძალადობის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრო და უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტი არ ახდენს გაცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების კლასიფიკაციას ძალადობის ფორმების მიხედვით.[66] შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი უწყებები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გააანალიზონ, ერთის მხრივ ძალადობის პრევალენტური ფორმები და დაგეგმონ შესაბამისი დამცავი ღონისძიებები, და მეორეს მხრივ, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მოვახდინოთ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე გატარებული დაცვის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებში არ იკვეთება, იმსჯელა თუ არა სასამართლომ, ოჯახში ძალადობის შემთხვევის განხილვისას, არასრულწლოვანის ინტერესის შელახვის ფაქტზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში რისკი ძალიან მაღალია. ასევე, არ იკვეთება, ასეთ შემთხვევებში ხდებოდა თუ არა სოციალური მუშაკის ჩართვა არასრულწლოვანთა მდგომარეობის გამოსაკვლევად.

ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლო გავლენა ოჯახში ძალადობასთან

2016 წელს სახალხო დამცველი განიხილავდა ოჯახში ძალადობის 20-მდე საქმეს, რომელშიც განმცხადებლები პირდაპირ უთითებდნენ ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე, როგორც მთავარ ფაქტორზე, რომლის გამოც მათ უწევდათ განგრძობითი და განმეორებითი ძალადობის მოთმენა.

ამ პრობლემას ხაზს უსვამს „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემიც, რომელიც ეხება საქართველოში ქალების წვდომას ქონებასთან. კვლევის თანახმად, ქალებს, კაცებთან შედარებით მემკვიდრეობით ქონების მიღების ორჯერ ნაკლები შანსი აქვთ (კოეფიციენტი: 0.50). ასევე ორჯერ ნაკლებია ალბათობა ქალის მიერ უძრავი ან მოძრავი ქონების გამოყენების, ფლობის ან განკარგვისა, კაცებთან შედარებით.

65 2015 წელს სსკ-ის 11[1] და 126[1] მუხლებით დევნა 728 პირის მიმართ დაიწყო; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

66 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი #პ-46-17; 08/02/2017 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი # MIA 7 1700314132; 08/02/2017.

უსახლკარობასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზის[67] შედეგების თანახმად, გენდერული უთანასწორობა ოჯახური ურთიერთობების დონეზე ყველაზე დიდ ასახვას ჰპოვებს ქალებს შორის საცხოვრისის მდგომარეობაზე. ეს უკავშირდება ოჯახში კერძო საკუთრებაზე არათანაბარ წვდომას, ოჯახში ქალების მიმართ ძალადობას და ქალებსა და მამაკაცებს შორის საშინაო შრომის უსამართლო განაწილებას.

სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი საქმეები ადასტურებს, რომ, რიგ შემთხვევებში, ქალები მეუღლის მხრიდან განხორციელებულ ძალადობას სათანადო, მატერიალური სახსრების არარსებობის ან ბიოლოგიური ოჯახის წევრების მხრიდან მხარდაჭერის არარსებობის გამო ითმენენ. ამ მხრივ ქალებისთვის დროებითი თავშესაფარი საბოლოო გამოსავალს არ წარმოადგენს, რადგან პრობლემას მხოლოდ დროებით ხსნის, ხოლო საცხოვრებლის თუ დამოუკიდებლად სახსრების მოპოვების შესაძლებლობა მუდმივ პრობლემად რჩება. საქმეების ანალიზიდან იკვეთება, რომ ხშირია, როდესაც ქალებს აიძულებენ გაყიდონ ან დათმონ მის მფლობელობაში არსებული ქონება, კაცი ოჯახის წევრების სასარგებლოდ, ძალადობრივი გზით ან ძალადობის მუქარით.

სამართალდამცავ ორგანოებს უჭირთ ამგვარ საქმეებში ეკონომიკური ძალადობის გამოყოფა და მასზე გენდერული სპეციფიკურობის გათვალისწინებით მუშაობა. მსხვერპლისა და ძალადობის ფორმის იდენტიფიცირება ერთიორად რთულდება, როდესაც საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ეკონომიკურ ძალადობას. ამ შემთხვევაში, სოციალურ სამსახურს უჭირს ადეკვატური სერვისის და დახმარების შეთავაზება შშმ ქალებისათვის.

თ.კ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა თ.კ.-ს მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციით, თ.კ სისტემატიურად განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მეუღლის მხრიდან. განხორციელებული ძალადობის გამო, თ.კ. ოთხ შვილთან ერთად მეუღლის სახლიდან წამოვიდა და მშობლების სახლში დაბრუნდა. თუმცა მშობლებმა მას თანადგომა არ აღმოუჩინეს და დახმარების ნაცვლად შეიფარეს მოძალადე სიძე, რომელიც თ.კ.-სთან შესარიგებლად მივიდა. აღნიშნულის გამო თ.კ.-ს შვილებთან ერთად მშობლების სახლის დატოვება მოუწია და თავს საერთო საცხოვრებელს აფარებდა, სადაც ცხოვრებისთვის შეუსაბამო პირობები იყო.

ნ. ი.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, ნ. ი.-ს ოჯახში სისტემატიურად აქვს ადგილი ძალადობას, კერძოდ, მისი ძმა,

67 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.scribd.com/document/329069739/>კვლევა-უსახლკარობა [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ოჯახის წევრების მისამართით ახორციელებს ფსიქოლოგიურ ძალადობას. ძმა ითხოვს ქონების გადაფორმებას, ამასთან მოითხოვს კრედიტის გამოტანას და მისთვის გადაცემას. ნ.ი.-ს ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმირებულია, როგორც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულია რამდენიმე შემაკავებელი ორდერი, თუმცა ძალადობის პრევენცია ვერ ხერხდება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების შეფასება

2016 წელს საქართველოში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების 5 სახელმწიფო დაწესებულება (თავშესაფარი) ფუნქციონირებდა, რომლის მომსახურებითაც 91-მა ქალმა და 5–მა კაცმა ისარგებლა.

ცხრილი №12: 2016 წელს თავშესაფარში მსხვერპლთა მიღება/გადინების დინამიკა



თავშესაფარში მოხვედრის სამართლებრივი საფუძვლებიდან ყველაზე დიდი წილი შემაკავებელი ორდერის საფუძველზე განთავსებასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ სტატუსის მინიჭებას უკავშირდება. კვლავ დაბალია დამცავი ორდერების გამოყენების მაჩვენებელი.

ცხრილი №13: თავშესაფარში მოხვედრის სამართლებრივი საფუძველი



2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგი განახორციელა, რომელიც მიზნად ისახავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შეფასებას.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ ბენეფიციარები თავშესაფრის პერსონალის მუშაობას დადებითად აფასებენ და თავშესაფარში თავს დაცულად გრძნობენ. თუმცა გამოიკვეთა, რომ თავშესაფრებში სათანადოდ არ ხდება ბენეფიციართა შესაძლებლობების სათანადო რეალიზება, მათი გაძლიერება და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. აქედან გამომდინარე, თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციარებს უჭირთ დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელება და ხშირად კვლავ ძალადობრივ გარემოში უწევთ დაბრუნება.

მოუწესრიგებელია თავშესაფრებში არსებული ინფრასტრუქტურა და შეთავაზებული სერვისების მრავალფეროვნება. მნიშვნელოვანია თავშესაფრებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ დაწესებულებაში განთავსებულ ბენეფიციართა ჯანმრთელობის საკითხებს. აუცილებელია, მოხდეს ბენეფიციართა რეგულარული გეგმიური შემოწმება და მათ ანალიზები ჩაუტარდეთ თავშესაფარში შესვლისთანავე, რათა შემცირდეს სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკი. ასევე, საჭიროა დაიხვეწოს პროდუქტის შესყიდვის პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, დახვეწას საჭიროებს, როგორც შიდა რეგულაციები, ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა არსებულის პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელება და ამ მიმართულებით ზედამხედველობის გაძლიერება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი ყველა სახელმწიფო თავშესაფარი, ძირითადად, ქალაქებშია განლაგებული, რაც შესაძლოა სოფლად მცხოვრებ ქალებს გარკვეულ პრობლემას უქმნიდეს ხელმისაწვდომობასთან და მობილობასთან დაკავშირებით. ამავე პრობლემას უსვამს ხაზს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხ-

სენებელი, დუბრავკა სიმონოვიჩი თავის 2016 წლის ანგარიშში[68] „ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ".

ქალთა მკვლელობები და თვითმკვლელობები (ფემიციდი)

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად კვლავ არ ხდება გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის შემთხვევათა ანალიზი, მათ შორის, ზუსტი სტატისტიკის წარმოება და ხელმისაწვდომობა.

საქართველოს სახალხო დამცველისადმი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მიწოდებული სტატისტიკური მონაცემები არასრულია და რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება ერთმანეთს.[69] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით,[70] 2016 წელს, ოჯახში ძალადობის შედეგად მკვლელობის 21 ფაქტი მოხდა, თუმცა მონაცემების მიხედვით მოკლულ ქალთა რაოდენობა არ იკვეთება. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ინფორმაციის მოწოდება მოხდა არასრულად,[71] იმ მიზეზით, რომ მთავარი პროკურატურის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ, შესაბამის ვადაში ვერ მოესწრო მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი 2017 წლის თებერვალი - მარტის პერიოდში ითხოვდა სტატისტიკურ ინფორმაციას, 2016 წელს მომხდარი ფაქტების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს დეტალური ანალიზი და შეფასება. აღსანიშნავია, რომ დღემდე არ სრულდება ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოწოდება, შეიქმნას ფემიციდის შემთხვევების აღრიცხვისა და ანალიზის ეფექტიანი სისტემა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ქალთა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეები აჩვენებს, რომ პარტნიორებს ან ყოფილ პარტნიორებს შორის ძალადობა ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს. აგრეთვე, მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს ქალთა თვითმკვლელობის ის შემთხვევები, რომელთა შესაძლო მიზეზიც, ოჯახში სისტემატიური ხასიათის ძალადობაა. აუცილებელია სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოიძიონ თვითმკვლელობამდე მიყვანის ყველა ფაქტი და იმსჯელონ ძალადობის მოტივზე ამგვარ საქმეებში.

68 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf> [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

69 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით 16 შემთხვევაზე.

70 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://police.ge> [ბოლოს ნანახია: 15/03/2017].

71 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი # 13/16346, 13/03/2017.

სახალხო დამცველი 2014 წლიდან დღემდე შეისწავლის ხ.ჯ.-ს და მ.დ.-ს თვითმკვლელობამდე შესაძლო მიყვანის ფაქტებს. დაახლოებით 3 წელია მიმდინარეობს გამოძიება ხ.ჯ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, თუმცა გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს და კონკრეტული პირის/პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის. მსგავსი სურათია მ.დ-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, სამი წლის განმავლობაში, საქმეზე კონკრეტული შედეგი არ დამდგარა. სამწუხაროდ, გაჭიანურებული გამოძიება ცალსახად მიუთითებს ქალთა შესაძლო თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეების გამოძიების არაეფექტურობაზე სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან.

სახალხო დამცველი ფემიციდის მაღალ რაოდენობას კვლავ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მონიტორინგისა და რისკის შეფასების სისტემის არარსებობას უკავშირებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი 2016 წელს სწავლობდა ოჯახში ძალადობის შედეგად ქალთა მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის დაზიანების იმ საქმეებს, სადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის ფაქტამდე ინფორმირებული იყო ოჯახში არსებული შესაძლო ძალადობის შესახებ.

შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს უჭირთ გენდერული ნიშნით ძალადობის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიური ძალადობისა და მუქარის გამოვლენა, აქცენტი მხოლოდ თვალით ხილულ ფიზიკურ დაზიანებაზე კეთდება და რეაგირებაც სწორედ მაშინ ხდება თუ მოძალადემ მსხვერპლი უკვე ფიზიკურად იმსხვერპლა ან დააზიანა. შესწავლილი საქმეებიდან განსაკუთრებით შემაშფოთებელია ქალის განზრახ მკვლელობის ის შემთხვევა, როდესაც ოჯახში არსებული ძალადობის შესახებ შეტყობინება პოლიციის ორგანოში მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე დაფიქსირდა, თუმცა დანაშაულის პრევენცია ვერ მოხერხდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ ინფორმაციაში, რიგ შემთხვევებში, რეაგირების განუხორციელებლობის მიზეზად მსხვერპლის მიერ შეტყობინების გაუქმების ფაქტორია მითითებული. ასეთ შემთხვევებში სამართალდამცავი უწყება არ ინტერესდება, რატომ გაუქმა მსხვერპლმა შეტყობინება, ხომ არ დგას შეტყობინების გაუქმების უკან მოძალადის მიმართ შიში ან მუქარა. განსაკუთრებით ყურადღებას საჭიროებს ის შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავ უწყებაში მსხვერპლს რამდენიმე შეტყობინება აქვს დაფიქსირებული და ზოგიერთ მათგანზე რეაგირებაც მომხდარია. ასეთ პირობებში, თუ მსხვერპლი მორიგი ძალადობის შესახებ ატყობინებს სამართალდამცავებს და მოგვიანებით შეტყობინებას აუქმებს, სამართალდამცავი უწყება აღარ სწავლობს საქმეს. აღნიშნული ფაქტორი ხაზს უსვამს, რომ მსხვერპლის მიერ განხორციელებული თითოეული მიმართვა სამართალდამცავთა მიერ განიხილება, როგორც ცალკე აღებული შემთხვევა და ოჯახში ძალადობის სისტემატური და განგრძობადი ხასიათის გათვალისწინება არ ხდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად უბნის ინსპექტორების როლი, რომლებსაც კონფლიქტური ოჯახების პერიოდული კონტროლი ევალებათ. შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სამარ-

თალდამცავი უწყება მსხვერპლის მორიგ შეტყობინებას ელოდება და უბნის ინსპექტორების მიერ არ ხდება ოჯახში არსებული მდგომარეობის გადამოწმება.

ზემოხსენებული პრობლემები საქართველოს სახალხო დამცველის მიერ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით შესწავლილ რამდენიმე საქმეში გამოვლინდა:

კ.ი-ს საქმე

2016 წლის 13 ივლისს, კ.ი.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს პირველ განყოფილებაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო. ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა გარდაცვლილის მეუღლე.[72]

მკვლელობის ფაქტამდე, რამდენიმე საათით (18:59 საათი) ადრე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112-ის სამსახურში დაფიქსირდა შეტყობინება: ზარის ინიციატორი (გარდაცვლილის ბებია) შვილიშვილის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე უთითებდა და დახმარებას ითხოვდა. მომდევნო ზარის ინიციატორი ბრალდებულია (23:33 საათი), მისი თქმით მეუღლე მოკლა და სურდა პოლიციას ჩაბარებოდა.

მ.ფ-ს საქმე

2016 წლის 31 მარტს, მ.ფ.-ს მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს ურეხის პოლიციის განყოფილებაში დაიწყო. დაზარალებულის ყოფილ მეუღლეს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 19-108 მუხლებით წარედგინა.[73]

დანაშაულის ფაქტამდე სამართალდამცავ უწყებაში ოჯახში შესაძლო ძალადობის შესახებ 7 შეტყობინება ფიქსირდება. მოწოდებული ინფორმაციით, ვინაიდან აღნიშნული შეტყობინებები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა, სამართალდამცავი უწყების მხრიდან რეაგირება არ განხორციელებულა.[74]

საქმეთა შესწავლისას, ასევე გამოვლინდა სსიპ სოციალური მომსახურების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის კოორდინაციის პრობლე-

72 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის წერილი # 2072147; 18/08/2016.
73 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს წერილი #MIA 5 16 00959424; 18/04/2016.
74 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის წერილი # 1859144; 26/07/2016.

მა. რიგ შემთხვევებში ძალადობის საქმეს ორივე უწყება სწავლობდა, თუმცა მათი შესწავლის შედეგები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის იდენტიფიცირება რიგ საქმეებში სოციალურმა სამსახურმა შეძლო, პოლიციის ორგანო არ იზიარებდა მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას.

მნიშვნელოვანია, რომ მოძალადის განრიდების მექანიზმის გამოყენება პრაქტიკულად მსხვერპლის დაცვისთვის აუცილებელ შედეგს ვერ გვაძლევს. ხშირია, როდესაც ოჯახში ძალადობის დროს, თავად ძალადობის მსხვერპლს უწევს საცხოვრებლის დატოვება და თავშესაფრისთვის მიმართვა. ძირითადად, მოძალადეთა გამორიდება ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების მიერ, ძალადობის ფაქტის მყისიერი განმუხტვის მიზნით, დროის მცირე მონაკვეთით, თუმცა, აღნიშნული თავიდან ვერ აგვარიდებს განმეორებით ძალადობას.

ამჟამად, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს სტატისტიკას, თუ რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება ოჯახში ძალადობის დროს. აუცილებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებისას ყურადღებას აქცევდეს და აგროვებდეს იმ ინფორმაციას, თანაცხოვრობდნენ თუ არა მსხვერპლი და მოძალადე ერთად ძალადობის ფაქტის დადგომისას და მოხდა თუ არა მოძალადის განრიდება, რაც, შემდგომში, ამ უწყებას საშუალებას მისცემს სწორად დაგეგმოს მონიტორინგის ღონისძიებები.

ქალთა გენიტალიების დასახიჩრება

ქალთა გენიტალიების დასახიჩრება უფლებების უკიდურესი დარღვევაა, რომელიც გავლენას ახდენს ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობის, წამების აკრძალვის და სხვა უფლებების განხორციელებაზე.

2016 წელს გენიტალიების დასახიჩრების შემთხვევები საქართველოს ერთ რეგიონში გამოვლინდა. გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა გავრცელებულია, როგორც „ნათლობის“ რიტუალის ნაწილი, რომელიც ქალის სასქესო ორგანოს, კლიტორის მცირე ნაწილის მოკვეთას ან ჩაჭრას გულისხმობს და სახლის პირობებში ტარდება.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციით დადგინდა, რომ მოსახლეობა არ ფლობს ინფორმაციას საკითხის სირთულის, რისკებისა და გართულებების შესახებ. ასევე, არ იციან თუ რა მიზანს ემსახურება აღნიშნული პრაქტიკა და მას, ძირითადად, ტრადიციებს ან/და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს უკავშირებენ.

სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია შესაბამისი სტრუქტურებიდან ქალთა გენიტალიების დასახიჩრებასთან დაკავშირებით ჩატარებულ სამუშაოებზე მათი მართებულობისა და მასშტაბების ანალიზის მიზნით. საქართველოს

მთავარი პროკურატურიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული პასუხების თანახმად[75] ქალთა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები ძირითადად ფაქტების შესწავლასა და მოსახლეობასთან შეხვედრებს მოიცავს, აღნიშნული ქმედების არასამართლებრივ ხასიათთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[76] სამინისტრომ ჩაატარა ორი უწყებათაშორისი შეხვედრა, რომელთა შემდეგ დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტი „საშიში და ჯანმრთელობისთვის სახიფათო პროცედურების შესახებ". ამასთან, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ გაითვალისწინეს კონკრეტულ თემში არსებული რეზისტენტული მდგომარეობა საკითხთან დაკავშირებით და გარკვეული დროის მანძილზე თემთან შეხვედრებისაგან თავს იკავებენ, თუმცა, 2017 წლის გაზაფხულიდან სამინისტრო აპირებს ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელებას. ასევე, დაგეგმილია უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სახალხო დამცველი მიესალმება იმას, რომ სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ცვლილებათა პაკეტის დამტკიცების შემდეგ, კანონმდებლობაში გაწერილი იქნება ქალთა გენიტალიების დასახიჩრების დეფინიცია. ამასთან, აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის დროული შემუშავება, რათა განსახორციელებელი ღონისძიებები დაიგეგმოს სიფრთხილით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობითა და სხვადასხვა უწყების კოორდინირებული ჩართულობით. აუცილებელია აღნიშნული საქმიანობა პრაქტიკის სიღრმისეულ კვლევას ეყრდნობოდეს, სადაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის თანაკვეთა, როგორიცაა საკითხის გენდერული მახასიათებლები, ძალადობის მსხვერპლთა ეთნიკური წარმომავლობა, საკითხთან დაკავშირებული სტიგმა და ხელახალი ტრავმის მიყენების საფრთხე.

ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება

საქართველოში ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება კვლავ წარმოადგენს გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთ შემაშფოთებელ გამოვლინებას. 2016 წელს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზიდან იკვეთება, რომ შემცირდა ფაქტობრივი თანაცხოვრების შემთხვევები, თუმცა გაიზარდა ნიშნობების მაჩვენებელი, რაც არანაკლებ ზღუდავს არასრულწლოვანთა უფლებებს და უარყოფით ასახვას ჰპოვებს არასრულწლოვანთა განვითარების, განათლების მიღების და თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაზე.

75 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #MIA 2 17 00353071; 13/02/2017 და საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი #13/4355; 23/01/2017.

76 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/4252; 25/01/2017.

ცხრილი №14: ადრეულ ასაკში ქორწინების მონაცემები



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2016 წელს მხოლოდ 5. აღნიშნული კლება სახალხო დამცველის ინიციატივით სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილების შედეგია, რაც პირდაპირი მაგალითია იმისა, რომ არსებობს გენდერული საკითხები, რომელთა რეგულირებაშიც სახელმწიფომ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. 2015 წელთან შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც ნაკლებია ბავშვის რეგისტრაციის მომენტში არასრულწლოვანი მშობლების რაოდენობა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში 1449-დან 1278-მდე შემცირდა.[77] სამწუხაროდ, ტენდენცია, რომ ბავშვის დაბადებისას არასრულწლოვანი მშობლების რიცხვი მკვეთრად აღემატება ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, 2016 წელსაც შენარჩუნებულია.[78]

ცხრილი №15: ბავშვის დაბადების მომენტისთვის არასრულწლოვანი მშობელი



77 იუსტიციის სამინისტროს წერილი #01/19266; 23/01/2017.

78 ტენდენციის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკანონმდებლო ცვლილებებიდან შეფასებისთვის საკმაოდ ცოტა დროა გასული, რადგან ცვლილება რეალურად 2016 წლის მეორე ნახევარს შეეხო.

არასრულწლოვანთა ქორწინება მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების მიღების უფლებასთან. სამწუხაროა, რომ ხშირად არასრულწლოვნები თავს ანებებენ განათლების მიღებას, რაც შემდგომში მოქმედებს ქალთა ეკონომიკურ თავისუფლებაზე და რაც მთავარია, ერთი-ორად ზრდის ოჯახში ძალადობის რისკებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[79], ადრეული ქორწინების მიზეზით სწავლა 2016 წელს შეწყვიტა 13-დან 17 წლამდე 115-მა მოსწავლემ მაშინ, როდესაც 2015 წელს სწავლა 408 მოსწავლემ შეწყვიტა:

ცხრილი №16: ადრეულ ასაკში ქორწინების მიზნით სკოლის მიტოვების მაჩვენებლები



მიუხედავად მკვეთრად შემცირებული რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობისა, პრობლემურია რეაგირების განხორციელება ფაქტობრივი თანაცხოვრებისას. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქმეთა შესწავლისას ხარვეზები ვლინდება, როგორც სამართალდამცავი უწყების, ისე სოციალური მომსახურების სააგენტოს და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში. სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[80] ამ უწყებამ 2016 წელს სულ 79 ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევა შეისწავლა.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში უწყებებს შორის კოორდინაცია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევებში ადრეულ ასაკში ქორწინებას თან ახლავს: სქესობრივი დანაშაული, სწავლის მიტოვება, მშობლების მხრიდან უგულებელყოფა, აღნიშნულ გარემოებებს, ფაქტობრივი ოჯახური ურთიერთობის არსებობის გამო, ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო დაწესებულებები და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები არ აღიქვამენ დარღვევად, ხშირად უთითებენ ქორწინების ნებაყოფლობითობაზე ან ტრადიციულ ფაქტორებზე და არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

79 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი #MES 3 17 00047276; 20/01/2017.
80 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/4054, 24/01/2017 და #01/62049, 12/08/2016.

ადრეულ ასაკში ქორწინებისას, არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, სოციალური მომსახურების სააგენტოს უჭირს მიიღოს ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის გადაწყვეტილება. ასეთ დროს, სოციალური სამსახური ცდილობს დაფაროს ოჯახში არსებული პრობლემები. სამწუხაროდ, დაფიქსირდა საგანგაშო შემთხვევები, როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინებისას სოციალური მომსახურების სააგენტომ, არასრულწლოვანის ოჯახში ყოფნის გამართლებისთვის ფორმალური საფუძვლის შესაქმნელად, სავარაუდო მოძალადის (საქმროს) დედა დანიშნა მზრუნველად. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სოციალურმა სამსახურმა ოჯახში არსებული გარემო არასრულწლოვანისთვის კეთილსაიმედოდ და არაძალადობრივად შეაფასა მაშინ, როდესაც არასრულწლოვანის მეუღლე სქესობრივი დანაშაულის ჩადენის გამო დამნაშავედ იქნა ცნობილი და აღნიშნულის შესახებ სოციალური სამსახური ინფორმირებული იყო.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი სრულწლოვანის 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დანაშაულის ჩადენისთვის 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ყოველგვარი საგამონაკლისო წესის გარეშე. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[81] სსკ-ის 140-ე მუხლით დევნა 183 პირის მიმართ დაიწყო, მათ შორის, უმრავლესობა (161) ოჯახური ნიშნით ჩადენილი დანაშაულია (88%).

სამწუხაროდ, საქმეთა შესწავლისას ვლინდება რომ სრულწლოვანი მამაკაცის და 16 წლის ასაკს მიუღწეველი გოგონას ფაქტობრივი ქორწინებისას სამართალდამცავი უწყება არ ინტერესდება შესაძლო სქესობრივი დანაშაულით. ასეთ შემთხვევაში, საკმარისია წყვილმა განაცხადოს, რომ მათ შორის სქესობრივ კავშირს არ აქვს ადგილი, ან განაცხადონ რომ სქესობრივ კავშირს გოგონას 16 წლის ასაკის მიღწევამდე ადგილი არ ექნება. სქესობრივი დანაშაულის ფაქტზე გამოძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწყება, თუ გოგონა ორსულად არის, რაც უტყუარად ადასტურებს მომხდარ დანაშაულს.

ადრეული ქორწინების, როგორც დანაშაულებრივი ქმედების და მოსალოდნელი სასჯელის შესახებ საქართველოში ცნობიერება დაბალია. ფაქტობრივი ოჯახის შექმნის შემთხვევაში, არ ხდება სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული რეალური სასჯელის შეფარდება და დამნაშავეს უფორმდება საპროცესო შეთანხმება. სამწუხაროდ, მოსახლეობაში საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა აღქმულია, როგორც „ჯარიმა“ არასრულწლოვან გოგონაზე დაქორწინებისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად ქმედების დანაშაულებრიობის შესახებ ინფორმირებულობისა, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისთვის მისაღებია ჯარიმით დაკისრებულის გადახდა ასაკით პატარა გოგონაზე ქორწინების სანაცვლოდ.[82]

რაც შეეხება სსკ-ის 143-ე მუხლით დასჯად ქმედებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას (მათ შორის, ქორწინების მიზნით მოტაცებას), საქართველოს შინა-

81 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი N13/16346, 13/03/2017.

82 სახალხო დამცველის მიერ 2015-2016 წლებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით.

გან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[83] 2016 წელს 143-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გამოძიება დაწყებულ იქნა 27 საქმეზე, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით,[84] ამავე მუხლით დევნა 20 შემთხვევაში დაიწყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ ადრეულ ქორწინებასთან ბრძოლის მიზნით გადადგმული ნაბიჯები ეფექტურია, მაგრამ - არასაკმარისი. არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის, რაც მნიშვნელოვანია, როგორც სქესობრივი დანაშაულის პრევენციის, ისე ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების შემცირებისთვის.

2016 წელს, ასევე გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაარღვია რეფერირების დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევის შესახებ. რეფერირების დოკუმენტით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევები, ასევე გამოვლინდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადრეულ ასაკში ქორწინებების საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას.

მ.ჯ. -ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს მომართა მ.ჯ.-მ, რომელიც მიუთითებდა შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 15 წლის მ.ჯ. დაქორწინდა 27 წლის მამაკაცზე. ქორწინების განმავლობაში გოგონა მეუღლის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა. საქმის შესწავლისას გამოვლინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულება ინფორმირებული იყო ადრეულ ასაკში დაქორწინების ფაქტის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაქორწინებისას რეაგირება არ განუხორციელებია. პოლიციის ორგანოსთვის საკმარისი აღმოჩნდა წყვილის განმარტება, რომ მათ შორის სქესობრივ კავშირს გოგონას 16 წლის ასაკის მიღწევამდე ადგილი არ ექნებოდა. პოლიციის ორგანომ რეაგირება მას შემდეგ განახორციელა, რაც ქორწინებიდან რამდენიმე თვეში ხელახალი შეტყობინება დაფიქსირდა ოჯახში მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ. არც ერთ დაწესებულებას სოციალური სამსახურისთვის მომხდარი ფაქტის შესახებ არ შეუტყობინებია.

ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკასთან ერთად, ასევე გამოწვევას წარმოადგენს არასრულწლოვანი გოგონების ნიშნობა. სამწუხაროდ, ნიშნობის შემთხვევები ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების და სამართალდამცავი უწყების წარ-

83 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N 201943,26/01/2017 და N2050756, 16/08/2016.
84 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი N 08-3/506, 11/01/2017 და N13/53405, 15/082016.

მომადგენლების მხრიდან ყურადღებას ნაკლებად იმსახურებს. ამ შემთხვევებში მათთვის განმსაზღვრელია, რომ დანიშნული ბიოლოგიურ ოჯახში რჩება. ამავეს ადასტურებს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციაც, 150[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების შესახებ.[85] ამ მუხლით გამოძიება 2016 წელს მხოლოდ 3 შემთხვევაში დაიწყო.

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა

განსაკუთრებით მძიმეა ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა. არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების საპასუხოდ, სახელმწიფოს მიერ, ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები კვლავ მინიმალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ერთის მხრივ ლგბტი პირები თავს დაცულად ვერ გრძნობენ, რადგან მაღალია მათ მიმართ სიძულვილის გამოვლინების მაჩვენებელი, ხოლო მეორეს მხრივ, კვლავ რჩება ხარვეზები საკანონმდებლო დონეზე, რომლებიც ლგბტი პირებს ართმევს შესაძლებლობას სხვათა თანასწორად ისარგებლონ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში ქვეყანაში მიღებულ იქნა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, არასაკმარისი და არაეფექტურია ამ კანონების პრაქტიკულად განხორციელების საკითხი. მოსახლეობაში კვლავ მაღალია ჰომოფობიური განწყობები და ასევე, პრობლემად რჩება ე.წ. პოლიტიკური ჰომოფობია, ანუ, პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ჰომოფობიური, სიძულვილის ენის გამოყენება, რაც უარყოფითად აისახება ლგბტი თემის უფლებრივ მდგომარეობაზე და კიდევ უფრო აღვივებს საზოგადოების მხრიდან აგრესიას.

ლგბტი ადამიანები საქართველოში არიან სისტემური ძალადობის, შევიწროების, დევნის, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი ცხოვრების ყველა სფეროში. მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა და უთანასწორო მოპყრობა ხშირად ვლინდება ოჯახში, საჯარო სივრცესა თუ სხვადასხვა ინსტიტუციებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციის, ბულინგის და სოციალური გარიყვის სახით.[86] სამწუხაროდ, ლგბტი ადამიანები ვერ ქმნიან საკუთარ უფლებრივ და სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ დღის წესრიგს.

სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფს ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას, რომელიც დაცლილი იქნება ჰომოფობიური და ტრანსფობიური წარმოდგენებისგან და ხელს შეუწყობს ადრეული ასაკიდანვე ტოლერანტული ღირებულებების განვითარებას სკოლის მოსწავლეებში. ასევე ხშირია მასწავ-

85 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი N 1353405, 15/08/2016 და წერილი N13/6254, 30/01/2017.

86 დეკლარაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ლგბტი პირთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევის შესახებ, 2016.

ლებლებში ჰომოფობიური განწყობები, რაც აღვივებს და ახალისებს ძალადობრივი ფაქტების მიმართ უმოქმედობას. განათლების უფლების სარგებლობის კუთხით, საქართველოს საჯარო სკოლებსა და საუნივერსიტეტო სივრცეებში კვლავ გაბატონებულია ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობა, რაც აძლიერებს განათლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვას ლგბტი თემის წევრებისთვის, ქმნის მტრულ გარემოს და აღნიშნული სივრციდან მათ გარიყვას იწვევს.[87]

ქვეყანაში შექმნილი რთული უფლებრივი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება ლგბტი საზოგადოების შედარებით მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა მაგალითად ლბ ქალები და ტრანსგენდერი ქალები. მათ მიმართ გამოვლენილ ჰომოფობიურ განწყობებს, ზოგადად, ქალთა უფლებრივი კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა ერწყმის და შედეგად ლბტ ჯგუფის წარმომადგენელთა რაოდენობა, ვინც სამჯერ ან მეტჯერ გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, აღემატება გეი და ბისექსუალ ჯგუფში იგივე გამოცდილების მქონე კაცების რაოდენობას.[88] მიუხედავად ამისაა, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში არც ერთი საქმე, რომელიც ლბ ქალების მიმართ ფიზიკურ ძალადობას ეხება, არ შემოსულა, რაც თავისთავად მიუთითებს პრობლემის დაბალ ხილვადობაზე თავად თემში. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ლბ ქალები სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ურთიერთობების მიღმა არიან დარჩენილნი და სხვა ჯგუფებთან შედარებით მათი გამოცდილება მეტად არის უგულვებელყოფილი.

რაც შეეხება ტრანსგენდერ ქალებს, მათ მიმართ ბევრი სხვადასხვა ფაქტორის გამო გამოვლენილი ძალადობის მასშტაბი იმდენად დიდია, რომ სამართალდამცავ უწყებებს ხშირად უწევთ ამ ურთიერთობებში ჩარევა, თუმცა, 2016 წელს გაზრდილი შემთხვევების ფონზე, შესაძლოა ცალსახად ითქვას, რომ პოლიციას არ გააჩნია ამ ძალადობის რეგულირების სტრატეგია, შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებზე რეაგირებით და ვერ უმკლავდება პრობლემის სისტემურ ხასიათს.

2016 წლის 17 მაისის საქმე

2016 წელს ლგბტი აქტივისტების დამოუკიდებელი ჯგუფის განცხადებით, ძალადობის მოსალოდნელი საფრთხეებისა და სახელმწიფოს მხრიდან ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიების არარსებობის გამო, მათ უარი თქვეს საჯარო გამოსვლაზე, რაც უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს გამოხატვის თავისუფლების დაცვის კუთხით.

2016 წლის 17 მაისს, გამთენიისას 10 ლგბტი აქტივისტი დააკავეს. 3 მათგანი დააკავეს მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანზე“, ხოლო 7 – საპატრიარქოს შენობასთან, სტენსილების ხატვისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო. დაკავებულებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადეს, რომ მათი დაკავება განხორციელდა უხეში

87 ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016.

88 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://ge.boell.org/ka/2016/06/17/cinascargancqobidan-tanascorobamde > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

ფორმებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე და ჰომოფობიური ენის გამოყენებით. ლგბტი აქტივისტები უთითებდნენ, რომ ისინი დააკავეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა, ასევე მათი ტრანსპორტირება არ განხორციელებულა პოლიციის ავტომანქანებით. დაკავებულების ადგილსამყოფელი რამდენიმე საათის განმავლობაში უცნობი იყო. აღნიშნული ინფორმაციის მოძიება გაუჭირდათ, მათ შორის, სახალხო დამცველის რწმუნებულებს. დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის დაკავებისთანავე არ განუმარტავთ უფლებები და არ მიუციათ ახლობლებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

შემაშფოთებელია, რომ მდგომარეობა გაუარესებულია 2015 წელთან შედარებით, როდესაც ხელისუფლების მხრიდან უსაფრთხოების გარკვეული ზომების მიღების შემდეგ, ლგბტი აქტივისტებს საშუალება მიეცათ აღენიშნათ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღე, მიუხედავად იმისა, რომ აქციები შეზღუდული იყო დროსა და სივრცეში.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი სიძულვილით განპირობებული ძალადობრივი ქმედებების პრევენციასა და ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთას, ასევე ლგბტი ადამიანების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების და თავისუფლებების უპირობო განხორციელებას.

ტრანსგენდერი თემის ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისებთან

მთავარ გამოწვევას კვლავ წარმოადგენს ტრანსგენდერი პირებისთვის სქესის სამართლებრივი აღიარება.[89] იმის გამო, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს არ ეძლევათ შესაძლებლობა სამოქალაქო დოკუმენტებში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი საკუთარი გენდერული იდენტობის შესაბამისად შეცვალონ, ამ დოკუმენტებით სარგებლობისას იზრდება მათი დისკრიმინაციის რისკი და არასათანადო მოპყრობის ან ძალადობის განხორციელების ალბათობა.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე სქესის შეცვლის პროცედურული წესი გაწერილი არ არის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი პრაქტიკა, სქესის შეცვლის საფუძვლად ანატომიური სქესის შეცვლის ოპერაციის ცნობის წარდგენას განიხილავს. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა შესაძლებლობა უნდა მისცენ ტრანსგენდერ ადამიანებს ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი სწრაფი და ადვილად ხელმისაწვდომი გზით შეცვალონ. ამასთან, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაუმართლებელი შეზღუდვებისა და უხილავი/ხილული ბარიერების აღმოფხვრას, რომელიც თან ახლავს სქესის ჩანაწერის შეცვლის პროცედურას.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2015 წელს წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესის შემუშავებისა და

89 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3720.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

დამტკიცების შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის წინადადების მიუხედავად არსებული პრაქტიკა არ შეცვლილა და ტრანსგენდერ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა ამ მხრივ არ გაუმჯობესებულა. გარდა წინადადებისა, საანგარიშო პერიოდში მომზადდა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, რომელიც აგრეთვე ეხებოდა სქესის სამართლებრივ აღიარებას.

სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თუ სამართლებრივი პრაქტიკა მიმართულია იმისკენ, რომ სახელმწიფოებმა შესაძლებლობა მისცენ ტრანსგენდერ ადამიანებს ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი სწრაფი, ადვილად ხელმისაწვდომი გზით შეცვალონ, ამასთან ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაუმართლებელი შეზღუდვების აღმოფხვრას, რომელიც თან ახლავს სქესის ჩანაწერის შეცვლის პროცედურას. მაგალითად, ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები უფრო მეტად ექვემდებარებიან დისკრიმინაციულ მოპყრობას, განსაკუთრებით სამუშაოს ძიებისას, ვიდრე ლგბ პირები. გამოკითხულ ტრანსგენდერ რესპონდენტთა თითქმის ყოველ მესამე (30%) პირს გამოუცდია დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე, რაც ფაქტობრივად, 2-ჯერ აღემატება ლგბ ჯგუფში დისკრიმინაციულ გამოცდილებებს.[90]

რაც შეეხება ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობას, 2015 წელს ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შესახებ წარმოებულ კვლევაში რესპონდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ, მათი აზრით, საქართველოში ექიმებს ტრანსგენდერი ადამიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ და ეს ერთერთი ბარიერია იმისათვის, რომ ტრანსგენდერმა ადამიანებმა ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურება მიიღონ.[91]

სახალხო დამცველი მიიჩნევს რომ აუცილებელია ამ პრობლემის სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა, რაც მოიცავს სამედიცინო პროცედურებისა და სქესის სამართლებრივი აღიარების ერთმანეთისგან გამიჯვნას. სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება დამოუკიდებელი უნდა იყოს ტრანსგენდერი ადამიანის მიერ ჩატარებულ სქესის შეცვლის ოპერაციისაგან და მის მიერ განვლილ ჰორმონალური/მედიკამენტოზური თერაპიისაგან.

გენდერული ძალადობა ლგბტი თემის მიმართ

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი განცხადებები ნათლად წარმოაჩენს ჯგუფის მიმართ არსებულ ძალადობრივ რეალობას. რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლგბტი ჯგუფის მიმართ დამოკიდებულები არათუ უბრალოდ იცვლება ნეგატიურისკენ, არამედ აისახება კიდევაც ჯგუფის წევრების მიმართ მასობრივ ძალადობაში.[92]

90 ლგბტ პირთა კვლევა ევროპაში, 2014, ძირითადი მიგნებები, გვ.29.

91 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

92 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://ge.boell.org/ka/2016/06/17/cinascargancqobidan-tanascorobamde >[ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს].

აღიარებულია, რომ ძალადობრივი და ჰომო/ბი/ტრანსფობიური გარემო ლგბტი თემს უხილავ სოციალურ ჯგუფად აქცევს და პირდაპირ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ამ ადამიანების კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე, არამედ ხელს უშლის მათ თვითრეალიზებაში ინდივიდუალურ, ინტერპერსონალურ და პოლიტიკურ დონეზე.[93]

ოჯახში ძალადობის გამოცდილებების კვლევა ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) 2014 წლის გამოკითხვის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა.[94] გამოკითხულ რესპონდენტთა 7%-მა მიუთითა, რომ სიძულვილით მოტივირებული სერიოზული ძალადობრივი ინციდენტები ხდებოდა მათი ოჯახის წევრების მხრიდან. ამასთან, ქალი რესპონდენტები ოჯახში ძალადობის ბევრად მეტ შემთხვევას მიუთითებენ, ვიდრე კაცი რესპონდენტები. რესპონდენტთა მხოლოდ 5% იყო გეი ან ბისექსუალი მამაკაცი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2016 წელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ თავშესაფრის პერსონალს არა აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ლგბტი მსხვერპლთან ურთიერთობისას და მათი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ტრენინგები ძირითადად ტარდება ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მიმართულებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2016 წელს შემოსული განცხადებებიდან მხოლოდ 1 საქმე ეხებოდა ოჯახში ძალადობას, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი, სექსუალური ორიენტაციის გამო, მშობლების მხრიდან ძალადობას განიცდიდა. სოციალური დაცვის სამსახურმა არასრულწლოვანი ოჯახიდან გამოიყვანა და მინდობით აღზრდაში განათავსა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არაერთ საქმეში ლგბტი თემის წარმომადგენლები პოლიციელების მხრიდან სავარაუდო გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე საუბრობენ. რიგ საქმეებში მითითებულია, პოლიციელების მხრიდან დამამცირებელი მოპყრობის, ჰომოფობიური დამოკიდებულების, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, გულგრილობის ფაქტების შესახებ. განცხადებებში, სადაც პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების შესახებ იყო მითითებული, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემდგომი რეაგირების განხორციელება ეთხოვა საქართველოს პროკურატურას. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გამოძიება შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გამოსავლენად.

ლგბტი თემის წარმომადგენლები, ზოგიერთ განცხადებაში ასევე უთითებენ მათი ადმინისტრაციული დაკავებისას ჩადენილ, სავარაუდო, გადაცდომებზე, კერძოდ, განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ რიგ შემთხვევებში, დაკავებისას მათ არ განემარტებოდათ დაკავების საფუძველი, არ ეძლეოდათ ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა და სხვა. უნდა აღინიშნოს, ის შემთხვევებიც, როდესაც ლგბტი თემის წარმომადგენელები ადმინისტრაციული წესით დააკავეს, თუმცა მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყდა

93 დეკლარაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ლგბტი პირთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევის შესახებ, 2016.

94 ლგბტ პირთა კვლევა ევროპაში, 2014, ძირითადი მიგნებები, გვ.64

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო.

სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის არაერთ საქმეზე სასამართლოს მიერ საქმისწარმოების შეწყვეტა მიანიშნებს, რომ საჭიროა პოლიციელების უნარ-ჩვევების ამაღლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იდენტიფიცირებისა და სამართალდარღვევის დასადასტურებლად მტკიცებულებების მოპოვების საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, მათ უნდა ესმოდეთ რომ ადმინისტრაციული დაკავების უფლებამოსილება დაუსაბუთებლად და თვითნებურად არ უნდა იყოს გამოყენებული.

საზოგადოებაში არსებული განწყობით წახალისებულია ლგბტი თემის მიმართ ძალადობის ჩადენა. აღნიშნულის გათვალისწინებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას, ამასთანავე დისკრიმინაციის მოტივით ლგბტი თემის მიმართ ჩადენილი დანაშაულების დროულ და ანგარიშვალდებულ გამოძიებას და დამნაშავე პირისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რამაც შესაძლოა, გარკვეულწილად, მოახდინოს დანაშაულის პრევენცია. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელების მხრიდან განხორციელებულ დარღვევებზე რეაგირების განუხორციელებლობა ახალისებს დისკრიმინაციულ საქციელს, ხოლო ლგბტი თემს აკარგვინებს ნდობას სამართალდამცავი უწყებების მიმართ.

გ.ტ.-ს ჯ.ც.-ს გ.უ. -ს და თ.მ.-ს საქმე

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ტრანსგენდერ პირებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მოქალაქე, რის გამოც გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. საპატრულო პოლიციამ ინციდენტის მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელები დააკავა და მათ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში დებდა ბრალს. განმცხადებელი გ.ტ უთითებდა, რომ დაკავებისას არ განემარტათ უფლებები, ამასთან პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

გ.ტ. პოლიციის მიერ ხელწერილის საფუძველზე იქნა გათავისუფლებული, ხოლო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე წარმოება ტრანსგენდერი პირების ჯ.ც.-ს გ.უ.-ს და თ.მ.-ს მიმართ შეწყდა (არ დადასტურდა მათი მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი).

პოლიციელების მხრიდან შესაძლო სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

ტრანსგენდერი ქალების დაკავების საქმე

განცხადების თანახმად, 2016 წლის 25 ივნისს, ღამის საათებში გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტრანსგენდერ ქალს თავს დაესხნენ, რის შედეგადაც მან სხეულის დაზიანება მიიღო. კერძოდ, თავდამსხმელმა მას მარჯვენა მკლავზე ჭრილობები ლურსმნიანი ჯოხით მიაყენა.

გავრცელებული ინფორმაციით, დაზარალებულმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა, თუმცა სამართალდამცავებს არც დამნაშავის დაკავება უცდიათ და არც სხვა სახის რეაგირება განუხორციელებიათ. აღნიშნული ფაქტის გასაპროტესტებლად დანაშაულის ადგილას შეკრებილმა ტრანსგენდერმა ქალებმა ხელახლა გამოიძახეს ეკიპაჟი და მოითხოვდნენ მათგან დანაშაულზე რეაგირებას. მეორე გამოძახებაზე გამოცხადებულმა ეკიპაჟმა ტრანსგენდერი ქალების პროტესტი სამართალდარღვევად ჩათვალა, ოთხი მათგანი დააკავა და შესაბამის განყოფილებაში გადაიყვანა. პოლიცია დაკავებულებს 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას ედავებოდა. სასამართლოს მიერ საქმისწარმოება შეწყდა 2 პირის მიმართ (არ დადასტურდა სამართალდარღვევის ჩადენა), ხოლო დანარჩენი პირების მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება უცნობია. (სავარაუდოდ, მათ მიმართაც შეწყდა წარმოება; ინფორმაციის გამოთხოვისას პოლიციას არ ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია).

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, როგორც ტრანსგენდერი ქალის ცემის, ისე პოლიციების მხრიდან განხორციელებულ, შესაძლო სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

ზ. შ.-ს საქმე

განცხადების თანახმად, 2016 წლის 14 ოქტომბერს ტრანსგენდერ პირს თავს დაესხნენ ჰომოფობიურ ნიადაგზე და მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს. მოწოდებული ინფორმაციით, დაზიანებები დაზარალებულს ცივი იარაღით და ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული. ზ. შ. მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით აქტიურად მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად, თუმცა აღნიშნული, გამოძიების მოცემულ ეტაპზე არ გამოვლინდა და გრძელდება გამოძიების პროცესი.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ხელი შეეწყოს აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას, სამინისტროებში სპეციალური სტრუქტურული ერთეულების შექმნის ანდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა/დამტკიცებით
- სამთავრობო უწყებებში ხელი შეეწყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე შიდა ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, კონცეფცია) შექმნასა და განხორციელებას
- იწარმოოს და გაანალიზდეს დასაქმებულთა გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების ხელშემშლელი ბარიერების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში განისაზღვროს უფლებადამცველი ქალების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის ღონისძიებები, მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/53/144 რეზოლუციის განხორციელების საკითხები
- განახლდეს ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ცვლილებებზე მუშაობა და შეიქმნას საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც მიმართული იქნება სპეციფიკურად ქალი დასაქმებულების გენდერული ჩაგვრის წინააღმდეგ
- დაიწყოს შესაბამისი პროცედურები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის კონვენციის ხელმოწერისა და შემდგომი რატიფიცირების მიზნით
- განისაზღვროს მრავალშვილიანი მშობლის დეფინიცია და განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება
- პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ სრულყოფილი, დეტალური სტატისტიკის წარმოება და მისი ანალიზი, მათ შორის, შეგროვდეს ქალთა მკვლელობების და თვითმკვლელობამდე მიყვანის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები და გაანალიზდეს ფაქტის ირგვლივ არსებული საჭირო მონაცემები
- ქალის გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკასთან დაკავშირებით, დროულად განხორციელდეს უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის შემუშავება
- სამთავრობო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში სრულყოფილად ასახოს შესაბამისი უწყებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობის დასაძლევად და ხელი შეეწყოს მის განხორციელებას

საქართველოს პარლამენტს:

- გათვალისწინებულ იქნეს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის და ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები სავალდებულო კვოტირების მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებით
- განისაზღვროს სექსუალური შევიწროების დეფინიცია და შემუშავდეს ადეკვატური სანქციების სისტემა
- გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობაში გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვისა და საერთაშორისო სტანდარტების/რეკომენდაციების ეფექტიანი განხორციელების მიმართულებით

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილება, საქმიანობის არეალი და რესურსები; ხელი შეეწყოს საკრებულოს დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნასა და მდგრადობას
- იწარმოოს და გაანალიზდეს დასაქმებულთა გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების ხელშემშლელი ბარიერების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად
- ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას, მათ შორის, მარტოხელა მშობლებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის
- უზრუნველყოფილ იქნას სოფლის განვითარების პროგრამებისა თუ თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- გაძლიერდეს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების ინტეგრირება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში
- ხელი შეეწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებული კარგი პრაქტიკების გაზიარებას და ერთიანი მიდგომების დამკვიდრებას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უფლებადამცველი ქალების მიმართ არსებული შესაძლო უფლებადარღვევის შემთხვევაში ჩამოყალიბდეს მგრძნობიარე მიდგომა და გათვალისწინებული იქნას მათი საფრთხის რეალური აღქმა, საქმიანობიდან გამომდინარე, არსებულ მომატებულ რისკთან ერთად
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოს თანამშრომლების გადამზადება. კერძოდ, უზრუნველყოს ტრეფიკინგთან, ოჯახში ძალადობასთან, ადრეულ ქორწინებასთან, ქალთა გენიტალიების დასახიჩრებასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასთან და სქესობრივ მახასიათებელთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა პოლიციის თანამშრომელთა სასწავლო გეგმაში
- შეიქმნას სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი გენდერული ნიშნით ჩადენილ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებულ საკითხებზე
- მონიტორინგი გაეწიოს ოჯახში ძალადობის შემთხვევის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხრელ შესრულებას
- დაიხვეწოს შემაკავებელი ორდერის ოქმში ინფორმაციის შევსების სტანდარტი
- ხელი შეეწყოს დაცვის ღონისძიებების, მათ შორის განრიდების მექანიზმის, ეფექტიან გამოყენებას, ამასთან განხორციელდეს რეაგირების შემდგომი მონიტორინგი
- გაუმჯობესდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, კერძოდ, გაანალიზდეს სსიპ 112–ის სამსახურში შესაძლო ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები, დამცავი ღონისძიებები, ძალადობის სხვა შემთხვევები
- გაძლიერდეს კოორდინაცია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ოჯახში ძალადობის და ადრეულ ასაკში ქორწინების საქმეთა შესწავლისას
- უზრუნველყოს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და უბნის ინსპექტორის როლის გაძლიერება ადრეულ ასაკში ქორწინების და ადრეულ ასაკში ნიშნობის ყველა შემთხვევაზე, მოხდეს მშობლების მხრიდან განხორციელებული ოჯახში შესაძლო ძალადობის - უგულებელყოფის საქმის შესწავლა
- ითანამშრომლოს ლგბტი ორგანიზაციებთან და აღნიშნულ თემაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ საინიციატივო ჯგუფებთან, გამოცდილების გაზიარების, დანაშაულთა პრევენციისა და სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

- დაინერგოს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში, მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა. მნიშვნელოვანია, რომ მითითებული პროცედურა მკაფიოდ იყოს გამიჯნული სამედიცინო ტრანზაქციის პროცესისგან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დაჩქარდეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისა და თანმდევი გასაცემლის მიღების წესის დამტკიცება, რათა გამოირიცხოს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები
- დაინერგოს მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების დახმარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის, მოხდეს სოციალური შეღავათების არსებულ სისტემაში გათვალისწინება, განხორციელდეს მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის შექმნა და გაანალიზება
- უმოკლეს ვადაში განხორციელდეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის ფსიქო-სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა
- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, ხელი შეეწყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას კონტრაცეპტივების გამოყენებისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე, მათ შორის სოფლის ამბულატორიების აქტიური ჩართულობით
- დაიგეგმოს და განხორციელდეს გენდერული ნიშნით სქესის სელექციის პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის საინფორმაციო–საგანმანათლებლო შეხვედრები საქართველოს რეგიონებში
- სრულყოფილად იქნეს შესწავლილი ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტები და განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების და ნიშნობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში გაიმართოს მსჯელობა მშობლის პასუხისმგებლობის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების საკითხზე,
- ბავშვის დანიშნვნის შემთხვევაში, ოჯახს გაეწიოს კონსულტირება ნიშნობის და ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი ასპექტების შესახებ, უზრუნველყოფილ იქნეს საქმეში ფსიქოლოგის ჩართულობა, რათა გამოირიცხოს შემდგომში იძულებითი ქორწინება

- დაარეგულიროს სამედიცინო ტრანზაქციის პროცესი ისე, რომ ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანებს ჰქონდეთ ეფექტიანი ხელმისაწვდომობა საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე და ამ პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადაზღვევო პოლისების ფარგლებში
- მიიღოს და დანერგოს საერთაშორისო კლინიკური სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც ორიენტირებული იქნება ტრანსგენდერ, ტრანსსექსუალ, ინტერსექს და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანთა საჭიროებებზე, უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანდაცვაზე
- უზრუნველყოფილ იქნეს, საქმეთა რაოდენობის შესაბამისად, სოციალური მუშაკების რესურსის გაზრდა, მათი გადამზადება გენდერულ და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით და მათთვის შესაბამისი სამუშაო პირობების გაუმჯობესება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- დროულად განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლება
- დაინერგოს სკოლის მოსწავლეთათვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების ძირითადი საკითხების სწავლება, მოეწყოს სასემინარო სწავლებები სკოლის მოსწავლეთათვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობით
- უზრუნველყოს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების და ადრეულ ასაკში ნიშნობის საკითხებთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებებზე და რეაგირების პროცედურის სავალდებულო შესრულებაზე
- მონიტორინგი გაეწიოს ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მიზეზების აღრიცხვის სისტემის წარმოებას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც იკვეთება მსგავსი შემთხვევების აღრიცხვიანობის ხარვეზები
- სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობით გააქტიურდეს მუშაობა იმ არასრულწლოვნების სასწავლო პროცესში ხელახლა ჩასართავად, რომლებმაც სწავლა ადრეულ ასაკში ქორწინების ან ნიშნობის გამო შეწყვიტეს

საქართველოს პროკურატურას:

- მიღებულ იქნას პრევენციული ზომები ფემიციდის, ქორწინების იძულებისა და არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის შემცირების/

თავიდან აცილების მიზნით, ამასთან, განხორციელდეს ეფექტიანი რეაგირება ყველა მომხდარ შემთხვევაზე

- შექმნას რეგულარული სამუშაო ფორმატები ლგბტი ორგანიზაციებთან და აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე სხვა ჯგუფებთან თუ ორგანიზაციებთან დანაშაულთა ეფექტიანი პრევენციისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის გაძლიერების მიზნით
- ხელი შეეწყოს სტატისტიკის წარმოებას, ანალიზს და თემატური კვლევების განხორციელებას ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- მოხდეს ბენეფიციართა და მათზე დამოკიდებულ პირთა ჯანმრთელობის სრული შემოწმება თავშესაფარში მიღებისთანავე, რათა თავიდან იქნას აცილებული დაავადებათა შემდგომი გავრცელება და ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს დროული მკურნალობა
- დაიხვეწოს თავშესაფრის ფიზიკური გარემო შშმ პირთა მომსახურებისთვის, ადაპტირდეს შენობები, რათა მაქსიმალურად იყოს მიახლოებული სავალდებულო სტანდარტებს
- უზრუნველყოფილ იქნას თავშესაფრის ადგილმდებარეობის იმგვარად შერჩევა, რომ შესაძლებელი იყოს თავშესაფრით მოსარგებლე პირთა კონფიდენციალობის, პირადი სივრცისა და უსაფრთხოების დაცვა
- გადაიხედოს თავშესაფრების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამები, მეტი დრო და რესურსი დაეთმოს სარეაბილიტაციო პროგრამებისა და აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, აღნიშნული პროგრამები გახდეს მეტად ინკლუზიური
- უზრუნველყოს სახელმწიფო თავშესაფრებში დასაქმებული პერსონალის ადეკვატური გადამზადება გენდერული და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და გაძლიერების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და სქესობრივი მახასიათებლების შესახებ

საზოგადოებრივ მაუწყებელს

- გააზრებულ იქნეს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების მნიშვნელობა და გადაცემების დაგეგმვისას თავიდან იქნას აცილებული სექსისტური და დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი კონტექსტი.